# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 231 კვირა, 18 ოქტომბერი 1909 წ. № 231

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. [illegible] და მცირე წერილებს და კორესპონდენციებს [illegible] ზება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА»

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ოქტომბრიდან წლის ბოლომდე 3 მან., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.



## „დროების" კანტორისაგან.

[illegible]ლიურ ხელის მომწერთ, ვისაც სრულად არა აქვს ფული შემოტანილი, გაზეთი აღარ გაეგზავნებათ. ● ყოველ თვის პირველ რიცხვიდან გაზეთი აღარ ეგზავნება ვისაც შემდეგ თვის ხვედრი ფული შემოტანილი არა აქვს. ● ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა. ● გაზეთის ყოველ, მიუღებლობაზე საჭიროა ხელის მომწერმა კანტორას აცნობოს, რომ მომავლისთვის ყურადღება მიექცეს.



ივანე ბესარიონის ძე, ბაბილინა, იოსებ და კირილე ივანეს ძენი და ასული კოხრეიძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—შვილის, ხოლო დანარჩენნი ძმის, მასწავლებლის

### ერმოლოზ კოხრეიძისას.

დაკრძალვა კვირას, 18 ოქტომბერს, დღის 3 საათზე, სოფ. იანეთში. (2—6. 2)



ბარბარე იოსებ ვოლსკის ასული და ივანე ივანეს ძე ზურაბიშვილი ულრმეს მადლობას უცხადებენ დაწესებულებათ და ცალკე პირთ, რომელთაც პატივი სცეს ხსოვნას გარდაცვალებულ

### გრიგოლ იოსების ძის ვოლსკისას.

(1—1)



წარმოდგენა № 8. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 8.

კვირას, 18 ოქტომბერს, 1909 წელს

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ქ-ნ ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის და ბ-ნ ს. სვიმონიძის მონაწილეობით

### ორი ობოლი

მელოდ. 5 მოქმედებად თარგ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. გარგარეთელი, მ. მდივანი, ნ. ჯავახიშვილი, ბ. შოთაძე; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, ნ. გვარამძე, ი. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხამშელი, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ი. ყიფიანი, მ. საფაროვი.

ადგილების ფასი: ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსად. „სიძე სიმამრი", „დედის ერთა", „ქოჩრიანი ტოროლა" და „იმედის დაღუპვა".

მორიგი რეჟისორი ვ. აბაშიძე. რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე.

დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.



### ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ბალარჯიშვილი ვ. დ. შინ. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა კვირისა 2—3 ს.

დამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; კვ. გარდა 11-12 საათ.

ზედგენიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

ზურკთ გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

[illegible] მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ხუთშ., და შაბ. 1—2 ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის, ორშ, ოთხშ. და პარას. 2—$2^1/_2$ ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 11—12 საათ.

პაპოვი ბ. ა. ყურ., ყელის და ცხვირ. ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—$2^1/_2$ ს.

რცხილაძე ნ. კბილ. ყოვ. დღ. 9—10 ს.

სობოლევსკი გ. ვ. ქირურ. ყოვ. დღ. 9—11 საათამ.

თიკანაძე ი. ე. დედაკ. საბებიო ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ. მიკრ, ქირ.-ბაქტ. გამოკვლევა. (100—6.—15)



### ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ს. გამაყაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

[illegible] ს. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

[illegible] ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

[illegible] მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

[illegible] ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშ., შაბ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

ბ. ა. [illegible]—ყელ., ყურ. და ცხვ. ყოველ დღე 12—1 ს.

მ. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—183)



**ექიმი** ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუსტი, სიფილისი, სამარცე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სა[illegible] ფირალოვისა (0—კვ.—86)



**ექიმი** გ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)



**ექიმი** ი. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—32)



**ექიმმა** ქუთაისში. ვოლოხმა

ავადმყოფობის შემდეგ განაახლა ავადმყოფების მიღება. დილით 10—12 ს., ხოლო საღამოთი 5—7 ს. კვირაობით მიღება მხოლოდ 1-მდე. (25—კვ.—7)



**ექიმი** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს., საღამოთი 4—7 ს. პლომბის ჩაგდება, კბილის ჩასმა და პროტეზები. ამბროსის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—5ან—275)



**ექიმი** ქ. ს. ფონ ირტელი

არჩენს სპეც. თირკმ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ., ტრიპერი) ელექ.-სამკ. კაბ. დილ. 9—12 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. შესახ., მონუმენტის მეს. N 5, ს. მაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ხალ.—26)



**ექიმი** ი. ნ. ეგიაზაროვის

ელექტრო-თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ხალ.—35)



**ექიმი** ლ. ნ. ოჯანჯანოვი

ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიჯისა ბერლინში, სპეციალურად: საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კაშეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ხალ.—40)



**ექიმი** კაკიტელაშვილი ქუთაისში

9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით—11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—93)



**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს, კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)



**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. ზედგენიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (0—6.—85)



**ექიმი**-სპეციალისტი ქ. ქუთაისში ჩარექოვი

იღებს განსაკუთრებით სიფილისიან, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა) აბულაძის მესაზვევი, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს., საღამ. 5—6 ს. (25—ფ.—8)



### სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

ავადმყოფთა მიღება:

მ. ალაჯალოვი—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

ნ. ათენიანცი—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

ვ. ვნუკოვი—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

ი. ეგიაზაროვი—ნერ. და შინ. 11—12 ს.

მ. კიმონტი—ქირურგ. ავად. 11—12 ს.

მ. მაგაკიანი—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ლ. მონინა—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

ა. კალმიკოვა-ვნუკოვა—ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტერ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ხალ.—38)



### სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რიდელი—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1—3 საათ.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოგოვსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

ჩუდნოვსკი.—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ერმოლაევი—ბავშ. ყ.-დღე. 1—2 ს.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3.

ნოვიცკი—ბებ., ქალ., ყოველ დღე 1—2

ახვლედიანი—შინაგ. და ბავშ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ ს.

კალამქაროვი—ბებ., ქალ. ყ.-დღ. კვირ, გარდა 4—5 ს.

ბალდინა-ნოვიცკაია—ცხვ. ყელ. ყურ. $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.

ასპიროვი—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა. ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსენარის წესით. (00—6.—105)



**ექიმი** ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—27)



**ექიმი** გ. მაგაკიანი.

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ჭვად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—40)



**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გრიბოედოვის, N 9. (უ)



**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 25.



**ექიმი** კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)



### ქუთაისში

კბილის ექიმის დ. ს. რაჟინაშვილის კაბინეტთან გაიხსნა

### სამკურნალო

პირის და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიშრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. ვიტუშინსკის აფთიაქის გვერდით. (100—6.—22)



### სახალხო სახლი

ძმ. ზუბალაშვილებისა

კვირას, 18 ოქტომბერს, დილის სწორედ 11 საათზე,

ა. ი. მალხაზიანი

წაიკითხავს ლექციას

### გ. დ' ანუნციოსა და კ. ტეტმაიერის

შესახებ.

ბილეთები გაიყიდება სახალხო სახლის კასაში 50 კ.-დან 5 კ.-დე. (უ. 4—4)



კახეთის მევენახეთა ღვინის დამყენებელი

გლეხთა ამხანაობა

„კახეთი"

Товарищество крестьянскихъ кахетинскихъ виноделовъ

„Kaxetiu"

ამ ეტიკეტით იყიდება ჩვენი ღვინო ყველა ხამაკალენ[illegible] მაღაზიებში და სასმელების დუქნებში.

[illegible] ჩვენის ხარჯით თბილისში.

По такой этикетѣ продается наше вино во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и питейныхъ заведеніяхъ.

Свыше 10 бут. доставляется нашимъ водовозомъ въ Тифлисѣ.

Адресъ: Тифлисъ, Русская ул. № 7. Михаилу Никол. Кодалову.

(100—6.—7)



„ტფილისის სობრანიე"

დღეს, კვირას, 18 ოქტომბერს,

### საოჯახო საღამო

საღამოზე დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი ბ-ნ გიჯინის გამგეობით.

ანონსი: შემდეგი საოჯახო საღამო სამშაბათს, 25 ოქტომბერს.

(1—510—1)



ტფ. საკრედიტო საზოგადოების დარბაზში (ერევნის მოედანზე)

სამშაბათს, 20 ოქტომბერს, ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ გაიმართება

### საცეკვაო საღამო

საკონცერტო განყოფილებით

დაუკრავს სამხედრო მუსიკა, მანდოლინისტების ხორო და საზანდარი.

ცეკვა კატილიონით.

შესასვლელი ფასი: დიდებისთვის 1 მ. 10 კ., მოწაფეთათვის 50 კ.

საღამოს გამგე კნეინა თარხან-მოურავისა. (2—უ.—1)


## ტფილისი, 18 ოქტომბერი

გუშინ რუსეთის კონსტიტუციას ოთხი წელიწადი შეუსრულდა, უკეთ ვთქვათ—ოთხი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც გამოიცა შესანიშნავი ისტორიული „დოკუმენტი", რომლითაც რუსეთის იმპერიის განახლება უნდა დაწყებულიყო. მიუხედავად ამისა, განახლება ჯერ არა სჩანს და ისიც კი საეჭვოა: შეიძლება თუ არა კონსტიტუციის სახელი ეწოდოს იმ რეჟიმს, რომელიც რუსეთში დაწესდა? კარგად გვახსოვს ამ სამი წლის წინად „მშვიდობიან განახლების" პარტიის ლიდერს გრაფ გეიდენს რომ წამოსცდა—კონსტიტუცია არა გვაქვსო, კადეტთა მთელი პრესსა მისია და სიტყვა უკან წაალებინა: იმდენად დარწმუნებული იყო მაშინ რუსის საზოგადოება, რომ სათათბიროს შემწეობით 17 ოქტომბრის ხარტია განხორციელებული იქნებაო. რა იმედებით მიეგება რუსეთი პირველ სათათბიროს, რა ალტაცებით!.. მაგრამ, გაიარა ერთმა წელიწადმა და 3 ივნისის ოცნება დამსხვრეულ იქმნა. გეიდენი ერთად-ერთი წინასწარმეტყველი აღმოჩნდა ლიბერალებს შორის...

ამ ოთხი წლის განმავლობაში ეს მეხუთედ იკრიბება სათათბირო (1-ლი სათათბირო, მეორე—და მესამე სესსია მესამე სათათბიროსი) და ყოველ ახალ შეკრებისას იმედები უფრო და უფრო იფანტება, სასტიკი სინამდვილე უმოწყალოდ ამსხვრევს რუსის საზოგადოების საუკეთესო ნაწილის ოპტიმიზმს. დახედეთ, როგორ დაიწყო ახალი სესსია. ოპოზიციამ სცადა და მოაგონა „პარლამენტს" 17 ოქტომბერი: დრო არის—პრიმიტიული გარანტია საკონსტიტუციო რეჟიმისა განხორციელდესო, დროა, განსაკუთრებული წესები მოისპოს და პიროვნების ხელშეუხებლობის კანონი გამოვცეთო. მაგრამ უმრავლესობამ მწარედ დასცინა ოპოზიციას და ხსენებულ კანონთა განხილვა-გამოცემა კიდევ გადასდო „შემდეგისათვის".

უმრავლესობას წინ უძღოდა ოქტომბრისტთა პარტია. ეს ის პარტიაა, რომელმაც ითავა „შესანიშნავ დოკუმენტის" დაცვა, რომელმაც ხელში აიღო 17 ოქტომბრის დროშა. სესსიის გახსნამდე ერთის კვირის წინ პარტიის კრებამ კიდევ ერთხელ დაიფიცა 17 ოქტომბრის დროშის ერთგულებაზე და კიდევ ერთხელ აღუთქვა რუსეთს კონსტიტუციის განხორციელება. მაგრამ, შეჰხვდა თუ არა პირისპირ მთავრობას, უკუაგდო სირცხვილი და კიდევ ერთხელ უღალატა თავისავე დროშას, ფიცს და რუსეთს. საკონსტიტუციო პარტიების მაგიერ უმრავლესობამ წინ წამოაყენა 9 ნოემბრის კანონის განვითარება-დამატება, ამას მოჰყვება ადგილობრივ სასამართლოს გადაკეთების პროექტი, შემდეგ ბიუჯეტის შემუშავება, ათასი წვრიმალი კანონპროექტი და ამასობაში საპარლამენტო წელიწადიც დასრულდება. გუჩკოვი აასრულებს ნებას „მომავლინებელის თვისისას" და საპარლამენტო ვაკაციების დროს შეუდგება ისევ ფიცის მიღებას, რათა მერე კვლავ ახალი ღალატი ჩაიდინოს...

იმ დროს, როცა სტოლიპინი და გუჩკოვი ამ კეკე-მალულობას თამაშობენ პარლამენტში, პარლამენტს გარედ „მავრი" განაგრძობს თავის შავბნელ მუშაობას და უფრო და უფრო შხამავს და აბნელებს არე-მარეს. ნამდვილი ბატონ-პატრონი რუსეთისა ამ ჟამად ეს „მავრია", რომელმაც „დაამშვიდა" რუსეთი, მოსპო რევოლიუცია და ეხლა უმთავრესად არარუსთა მოსპობისათვის ზრუნავს. ფინლიანდია, პოლონეთი, კავკასია უპირველეს საზრუნავს შეადგენენ ამ ჟამად „მავრისას". ყოველ დღე ახალ-ახალ სიურპრიზებს უმზადებენ რუსეთის დღევანდელი ჰირისუფლები რუსეთის მრავალტანჯულ ხალხებს...

ამრიგად, იმპერიის თვალუწვდენელ სივრცეზე დრტვინავს ხალხი დღეს, დრტვინავს ისევ ისე, როგორც ამ ოთხი წლის წინად, შესანიშნავ დოკუმენტის გამოცემამდე. მთავრობა და შინაურ პოლიტიკის ხელმძღვანელნი ევროპის მორიდებით თვალთმაქცობენ სათათბიროში და ეს მორიდება-შიში რომ არ იყოს, 17 ოქტომბრის აქტსაც-კი მოუღებდნენ ბოლოს.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ნოვოე ვრემია" დღესასწაულობს: გახარებული გაიძახის—როგორც იყო მთავრობამაც ისწავლა ჭკუა და „ინოროდცების" ალაგმვას მიჰყო ხელიო.

„ნოვოე ვრემიას" 11 ოქტომბრის ნომერში წერილია დაბეჭდილი დასავლეთ გუბერნიებში ერობის შემოღების შესახებ. ავტორი სიამოვნებით ეგებება ერობის შემოღებას დასავლეთ გუბერნიებში და ეს სიამოვნება გამოწვეულია არა იმით, რომ ადმინისტრაციის თვითნებობას რამოდენიმე ბოლო მოეღება და ადგილობრივ საერობო საქმეების გამგედ თვით ხალხი იქნება, არა, „ნოვოე ვრემიას სულ სხვა რამე ახარებს. ან-კი კაცთ-ჭამიობას ასე მალე ამა როგორ გადააგდებს „ნოვოე ვრემია"? ავტორი ასე აყენებს საკითხს—ერობის შემოღება [შეიძლება საჭიროც იყოს, მხოლოდ მთავრობამ ამ თავითვე უნდა უზრუნველ ჰყოს რუსების უმრავლესობა საერობო საქმეების წარმოებაშიო. აი, ამ თვალსაზრისით ეხება ავტორი მთავრობის კანონ-პროექტს და თავის სასიამოვნოდ შენიშნავს, რომ პოლონური ელემენტი დიდის სიფრთხილით შეჰყავს მთავრობას საერობო დაწესებულებებშიო. იქ, სადაც პოლონელები მცხოვრებთა ნახევარს შეადგენენ, კანონ-პროექტის ძალით, ხმოსანთა რიცხვიდან მათ დაეთმობათ მხოლოდ მეათედი ადგილი. ასე ფიქრობენ პოლონელთა დაჩაგვრას ახალ კანონ-პროექტით და „ნოვოე ვრემიაც" ამის გამო ეძლევა სიხარულს.

ვილნოსა და კოვნოს გუბერნიებში რუსობა 6% დან 25%-მდე ძლივს არის. ამ ორ გუბერნიაშიც შემოიღებენ ერობას, მხოლოდ ეხლავე განსაკუთრებული მუხლია შეტანილი კანონ-პროექტში, რომლის ძალითაც მომავალ ერობებს უფლება არ ექნებათ შეამცირონ ხარჯი რუსულ სკოლებზე. მეტის-მეტი იქნებოდა, რომ კოვნოს გუბერნიაში, სადაც რუსობა მხოლოდ 5,9%-ია, უმრავლესობა რუსობისთვის მიენიჭებინათ. მაინც უზრუნველ ყოფილნი არიან — წარმომადგენლები კარგა ბლომად ეყოლებათ, მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის სამინისტრო მაინც განსაკუთრებულ მუხლსა სთხზავს ამ უუმცირესობის კულტურულ საჭიროებათა დასაცავად. ამ ნაირად მთავრობა არა რუსის გავლენას წინდაწინვე მშრალზე სტოვებს და ყველაფერს მცირე ჯგუფ რუსებისას უმარჩილებს.

„ნოვოე ვრემია"-ს პუბლიცისტს, როგორც ვთქვით, სწორედ ეს ახარებს—მთავრობამ ჭკუა ისწავლაო.

ერთი რამ არის კიდევ საგულისხმიერო: ავტორი გულმტკივნეულად შენიშნავს, რომ ერობაში გლეხობას (90%-ის) ნაკლები წარმომადგენელი ეყოლებაო. საარჩევნო კანონი ისეთივეა, როგორც შიდა გუბერნიებში და ეს დიდი შეცდომაა. დასავლეთ გუბერნიების გლეხობას მეტი წარმომადგენლები უნდა ჰყავდეთ, რადგან ეს გლეხობა საუკუნოებრივ ებრძოდა გაპოლონელებისა და კათოლიციზმის შემოღებას ამ გუბერნიებშიო. გლეხობა ერთგული დამცველი იყო მართლმადიდებლობისა და ამიტომ მეტი ხმოსნები უნდა ჰყავდეთო. ალბად შიდა გუბერნიების გლეხობა მართლმადიდებლობის დამცველი არა ყოფილა, თორემ სამართლიანობის „დამცველი" ავტორი ამ გლეხობისათვისაც გაიმეტებდა მეტ უფლებას.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 ოქტომბერი

### არეულობა სპარსეთში

**თეირანი.** საზღვარო ოფიცერმა ტაპალდოსპე რამდენიმე ინტერ-ოფი-

ცერით და მატროსით მთავრობას დაემუქრა ცეგგაუზსს ავიღებთო. მთავრობამ ბრძანება გასცა ტიპალდოსის დაპატიმრების შესახებ. სამხედრო ლიგამ ტიპალდოსი მეფის მოღალატედ გამოაცხადა.

**ათინა.** ტიპალდოსმა ნაღმოსანის და სამასის მატროსის დახმარებით დაიჭირა სალამანის არსენალი. სამხედრო ფლოტი სალამანის ახლო სდგას. დიდი აღელვებაა.

### ო ს მ ა ლ ე თ ი

**ვენა.** „კორესპ. ბიუროს" სალონიკიდან ატყობინებენ: ადგილობრივმა დამოჟნამ ბრძანება მიიღო, გემ „ბალდადით" დინამიტი მოვა, ეს დინამიტი სერბიისთვის არის დანიშნული, ამ დინამიტს სერბიაში ნუ გაუშვებთო.

### ს პ ა რ ს ე თ ი

**თეირანი.** არდებილიდან ცუდი ამბები მოდის. ამის გამო არდებილში გაიგზავნება ჯარის ერთი რაზმი. რაზმში, სხვათა შორის, სპარსელ ყაზახთა ერთი ასეული შევა.

შეიკრიბა 66 დეპუტატი. მეჯლისის გახსნას ამ დღეებში მოელიან.

### საზღვარ-გარედ.

**ჟენევა.** გუშინ, 16 ოქტომბერს, საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. ქარიშხალს კოკისპირული წვიმა მოჰყვა. არავინ დაშავებულა. ბევრი სახლი დაზიანდა და წყლით აივსო.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. საარჩევნო რეფორმის შესახებ კანონ-პროექტის განხილვის დროს მინისტრ-პრეზიდენტმა ბრიანმა განაცხადა: მთავრობა პრაქტიკულ მოსაზრებით საჭიროდ არა სთვლის ეხლავ შემოიღოს ახალი საარჩევნო წესი. ჩვენ რომ პროპორციონალური არჩევნები შემოვიღოთ, უმრავლესობის ზოგიერთი ჯგუფები აღარ იქნებიან არჩეულნი, რადგან ნაადრევად შემოღებული რეფორმა უნაკლულო არ იქნება. ბრიანის სიტყვას დეპუტატები ტაშით მიეგებნენ. პალატამ დაადგინა დაბეჭდოს ბრიანის სიტყვა და სხვა და სხვა დ წესებულებებში საქვეყნოდ გააკრას.

**ლონდონი.** გარდაცვლილ დეპუტატ—ლიბერალის მაგიერ ლონდონის ოლქმა აირჩია უნიონისტი დემფერესისი. დემფერეისმა მიიღო 4278, ლიბერალმა იუზმა—3291, სოციალისტმა სოლტერმა — 1435 ხმა.

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. სხდომის გახსნისთანავე ჩეხმა დეპუტატებმა ყვირილი ასტეხეს. მიზეზი ის არის, რომ გამართლდა ცნობა, იმ ადგილებში, სადაც გერმანელები უმრავლესობას შეადგენენ უსათუოდ ყველა დაწესებულებებში გერმანული უნდა იხმარებოდეს და ამის შესახებ ბრძანებას მეფე მალე მოაწერს ხელსაო. საღამოს გაზეთები ერთხმად ირწმუნებიან, საქმე გამწვავდება, რადგან ჩეხელი მინისტრები სამინისტროდან უსათუოდ გავლენ და ჩეხელი დეპუტატები ობსტრუქციას დაიწყებენო.

### რ უ ს ე თ ი

**ოდესსა.** საზღვარ-გარეთიდან დაბრუნდა ხელმწიფე-იმპერატორი. იმპერატორმა ოდესაში გამოიარა. ნავთსადგურში იმპერატორს დაუხვდნენ ოდესის ოლქის ჯარის მთავარსარდალი გენერალი კალუბარსი, გრადონაჩალნიკი ტოლმაჩევი, ქალაქის თავი და სხვები, ამავე დღეს იმპერატორმა მიატოვა ოდესსა.

**პეტერბურგი.** ადმინისტრაციის განკარგულებით 500 მანეთით დააჯარიმეს გაზეთ „ვსეობშჩაია მალენკაია გაზეტას" რედაქტორი მოლჩანოვი.

**სარატოვი.** სამოსამართლო პალატამ განიხილა რეალურ სასწავლებლის ორი მოწაფის საქმე. ამათ ჰბრალდებოდათ 1908 წელს, 22 სექტემბერს რეალურ სასწავლებლის დირექტორის მოკვლის განზრახვა. სასამართლომ ერთს 8 თვით დაპატიმრება გადაუწყვიტა, მეორე გაამართლა.

**სოსნოვიცი.** გუშინ, 16 ოქტომბერს, უბნის ერთი ზედამხედველი და ორი დარაჯი ბოროტგანზრახველებს დაედევნენ დასაჭერად. ბოროტგანზრახველებმა მოჰკლეს უბნის ზედამხედველი, მძიმედ დასჭრეს დარაჯი და მიიმალნენ.

**პოლოცკი.** სტრუნსკის სატუსაღოდან ოთხი კატორგელი სალდათების თანხლებით პოლოცკში ერობის საავადმყოფოში გაგზავნეს. უკან დაბრუნებისას კატორგელებმა იარაღი აჰყარეს სალდათებს და მიიმალნენ. კატორგელებს დაედევნენ დარაჯები, ორი მოჰკლეს, ერთი დაპატიმრეს, ერთი გაიქცა.

**ლოძი.** რადოგოშჩაში პოლიციამ აღმოაჩინა ყალბი ფულების ქარხანა. დააპატიმრეს 11 კაცი.

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 14, გარდაიცვალა 4, ავად არის 230 კაცი.

## სახელმწიფო სათათბირო

(საგენტოს დეპეშები)

**კანონ-პროექტი მიწათ-მოწყობის შესახებ და შეკითხვა.**

16 ოქტომბერს, მეოთხე სხდომაზე, სათათბირომ განაგრძო მუხლობრივ განხილვა მიწათ-მოწყობის შესახებ კანონ-პროექტისა. განიხილეს 16 მუხლი. თითქმის ყველა მუხლი, როგორც კადეტებმა აღნიშნეს, მიმართულია ღარიბ გლეხთა შესავიწროებლად. 9 ივლისის და ამ კანონით მთავრობას ერთად-ერთი აზრი აქვს—შექმნას სოფლად შეძლებულ გლეხთა რაზმი.

დასასრულ, წაიკითხეს 32 წევრის შეკითხვა. შეკითხვა შეეხებოდა ურალის, ეგრედ წოდებულ, პოსესიონის ქარხნებს. ბევრ პატრონს ასეთი ქარხანა ბანკში დაუგირავებია და ფული აუღია. შეკითხვის აზრით, ქარხნების პატრონებს ამის უფლება არა აქვთ. მემარცხენეებმა მხარი დაუჭირეს ამ შეკითხვას. აღნიშნეს ისიც, რომ ზოგიერთ ქარხანას სუბსიდიაც კი ეძლევა (მაგალითად, დემიდოვის ქარხანის ნახევარი მილიონი მანეთი) მაშინ, როდესაც ქარხნის მუშებს მთელი თვეობით ვერ მიუღიათ ქირა.

ოქტომბრისტების წარმომადგენელმა და ვაჭრობის მინისტრმა კანონიერად სცნეს საპოსესიონო ქარხნების დაგირავება ბანკში. სათათბირომ ხმის უმეტესობით მოიწონა მთავრობის განმარტება და შეკითხვა მოხსნა.

## ჭიათურის ამბები

ოქტომბრის კრება მოსვენებას არ აძლევს უცხოელ ექსპორტერებსა და მათ დამქაშებს. ეს ჩვენი „კულტურტრეგერ"-ები მეტად არიან უცნაურნი, რომ დახავსებულსა და დაშმორებულს საშუალებას ხმარობენ თავიანთ სურვილის ასასრულებლად. სამწუხაროა ის არის, რომ ასეთს ხრიკებს გასავალი აქვს იმ წრეებში,—რომელთაც ხელთ უპყრავთ ჩვენი ბედ-იღბლის გამგებლობა. ეხლა ამ თვეს ჭიათურიდან შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს ქუთაისის გუბერნატორს: „მომავალ 30 ოქტომბრისთვის დანიშნულ შავი-ქვის მრეწველთა კრების პროგრამმაში არ არის შეტანილი ორი უმთავრესი საკითხი: ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და არჩევანი იმ მოსამსახურე პირთა(?!), რომელთაც სამსახურის ვადა გაუვიდათ უკვე წარსულ მარტს. უმორჩილესად გთხოვთ თქვენ აღმატებულებას, გამოითხოვოთ დეპეშით ნება ბ-ნ ნამესტნიკისა და ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრთაგან, რომ პროგრამმაში შეტანილ იქმნეს ეს საგნები". ხელს აწერენ ის ფირმები, რომელთა წარმომადგენელნიც ეწევიან ამ აგიტაციას. ესენი გახლავან: პერსენაკი, გოტრენი, დრინანი, გარპოზილოს და მონალდობულდო, ნიკოლა და ეპამინონდ ავგერინო, სტავრო გალინოსი, ვართანიანი, სამანჯი, თეოფილაქტორი, სავთანოვი და შუტი და ციმერმანი.

ამ ვაჟბატონებმა სამინისტროში უკვე გაჰგზავნეს თავიანთი პროგრამმა ყოველგვარ წესისა და რიგის წინააღმდეგ. სამინისტრომ მოუსერხებლად სცნო ამ საკითხების პროგრამმაში შეტანა. ეხლა ადგილობრივ ადმინისტრაციას ებღაუჭებიან და უნდათ ვითომ და დიდის პოლიტიკურ მნიშვნელობის საქმე შექმნან აქედან. სვალადო ის არის, რომ ასეთ უნიადაგოსა და უშინაარსო თხოვნებს, თხოვნებს, რომელიც მიმართულია ადგილობრივ სამრეწველო დაწესებულებისა და მასთან ადგილობრივ მკვიდრთა ინტერესების წინააღმდეგ, მხარს უჭერენ ადგილობრივის ადმინისტრაციის წარმომადგენელნი. აქ იმასაც კი ამბობენ, რომ აქაურ „სფერების" მეთაურებს ერთ ჩვენ ცნობილ მოღვაწისათვის მიუმართავთ, დაგვიწერე დასაბუთებული თხოვნა, რომ რამენაირად ეს „დიდი საგნები" შეტანილ იქმნას პროგრამმაშიო. ჩვენ კიდევ ეცდებით შემთხვევა მოგახსენოთ, რა კუჭი ეწვის სხვა და სხვა ვაჟბატონებს, როცა უნდათ, რომ არჩევნები უსათუოდ ამ კრებაზედ მოხდეს. **ჭიათურელი.**

## სანატორია ჭლექიანებისთვის

ნოემბრის პირველ რიცხვებისთვის განზრახულია დაინიშნოს საზოგადო კრება ჭლექთან მებრძოლ კავკასიის საზოგადოებისა.

დროა, დიდი ხანია დროა საზოგადოება აქტიურ მუშაობას შეუდგეს. წავიდა ის ხანა, როდესაც ჭლექიანებს ღვთის ანაბარად სტოვებდნენ, მათ მორჩენაზე არა ზრუნავდნენ, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ არაფერი გამოვიდოდა. კაცობრიობის ამ უდიდეს სენთან ბრძოლაში, სამკურნალო მეცნიერებამ ისეთი დიდი ნაბიჯი გადასდგა, რომ იგი საშიშოდ აღარც კია მიჩნეული. საჭიროა მხოლოდ გონიერი ბრძოლა, საჭიროა, რომ ამ საქმეს ხელი მოჰკიდონ შეგნებულმა ძალებმა. ალტრუიზმს რომ თავი გავანებოთ, ეგოიზმს, საკუთარ არსებობის დაცვის გრძნობას მაინც უნდა ეკარნახა ხელი მოგვეკიდნა ამ საქმისთვის. ჰკითხეთ რომელ ექიმსაც გინდათ და ის აგიხსნით, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არის თითქმის ისეთი კუთხე, სადაც ჭლექს მკვიდრი ბინა არ დაედოს.

იმის შემდეგ, რაც მე ამ ზაფხულს აბასთუმანში ვნახე, დამშვიდებით აღარ შემიძლიან ამ საგანზე ლაპარაკი. ღმერთო ჩემო, რამდენნი არიან! როგორც აჩრდილნი, ისე დადიან ქუჩებში...

ეს სენი ხომ ახალგაზრდებს უშხამავს სიცოცხლეს, ესე იგი ჩვენს იმედსა, ჩვენს სომავალს, და ამასთან წლითი-წლობით მსხვერპლი უფრო და უფრო მრავლდება. სად მივდივართ? ძველი ბრ[illegible]დება, ახალი იღუპება. ნუთუ მშვიდობიანად უნდა ვისხდეთ [illegible] და [illegible] შევყურებდეთ, როგორა სპეილავს [illegible] სიცოცხლეებს!?

არა და ათასჯერ არა! ჩვენ მოვალენი ვართ, ვიბრძოლოთ. რა მიზეზია, რომ ინგლისში, სადაც აუტანელი ჰავა, და მრავალი მომშხამავი ქარხანა-ფაბრიკაა, ნაკლები ხალხი იხოცება ჭლექისაგან, ვიდრე ჩვენს ბუნებით კურთხეულ და დალოცვილ ქვეყანაში? ის, რომ იქ გონიერი ბრძოლაა სენის წინააღმდეგ, ის რომ ყოველი ადამიანი იქ გამსჭვალულია თავის მოვალეობის გრძნობით და არავითარი სენი არ არის მისთვის საშიში.

საჭიროა ჩვენშიაც ფართო პროპაგანდა საზოგადოების ყველა წრეში იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიცოს კაცმა თავი ჭლექისაგან და როგორ უნდა მოიქცეს იგი, თუ ვინიცობა ჭლექი შეჰხვდა, რომ თავშივე ჩაჰკლას და უვნებელი გახადოს ეს სენი.

ერთი საუკეთესო საშუალებათაგანი ჭლექთან ბრძოლისა არის სანატორიების მოწყობა. ასეთი სანატორია ევროპაში უთვალავია, ჩვენში-კი, ჩვენდა სამარცხვინოდ, ერთი სანატორია არსებობს — სოხუმში, ისიც, ამ ქალაქის კლიმატიურ პირობების წყალობით, მარტო ზამთარში მოქმედებს.

დეე, ახლად აღორძინებულმა საზოგადოებამ იკისროს ინიციატივა სანატორიის მოწყობისა აბასთუმანში. რომელიც ყველაზე უფრო მოხერხებულია ამ საქმისთვის, ჩვენ-კი შეძლებისა და გვარად დახმარების ხელი გაუწოდოთ. ამას რაც ერთი კაცისთვის შეუძლებელია, წარმატებით განახორციელებს საერთო ძალა.

მე მინდა წინადადება მივცე საზოგადო კრებას, გამართოს მთელ კავკასიაში აბაზიანი ხელის მოწერა. აბაზი დიდი თანხა არ არის და ყველა შესძლებს იმის გაღებას, საჭირონი არიან მხოლოდ კაცები ფულის შესაგროვებლად და მე ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ ასეთი კაცები აღმოაჩნდებიან. ჩემ მიერ შემუშავებულ გეგმას ამ შემოწირულების მო-

## პროვინციელ აგენტების საყურადღებოდ

**„დროების" კანტორა აცხადებს, რომ აგენტად პროვინციაში ჩვენი გაზეთის გაგზავნის საქმეში რჩება ისევ ბ-ნი გაჩეჩილაძე, წინანდელ პირობებით, ამიტომ პროვინციის აგენტებმა ფული ისევ ბ-ნ გაჩეჩილაძეს უნდა გამოუგზავნონ.**

# ე ქ ი მ ი

სხვა დროს ექიმი გეგეშვილი შეიძლება არც კი გარჯილიყო და თავის სოფლიდან მეორე სოფლამდის მთელი თხუთმეტი ვერსი არ გაევლო, ისიც თოვლსა და სიცივეში, მაგრამ ეხლა სიამოვნებით დასთანხმდა გაჰყოლოდა ავადმყოფთან გლეხს, რომელმაც ცხენი მოართვა და რომელიც ეხლა უკან ფეხით მისჩანჩალებდა. მიზეზი ის იყო, რომ, შინ მოწყენილს, მეორე სოფელში უნდოდა გართობილიყო. დიდი ხანია ამ სოფლის მასწავლებელსა და იქაურ თავადთან პროფერანსი არ უთამაშნია. ამას გარდა, თავადს მუდამ აქვს ხოლმე კარგი ღვინო, ხოლო მოწყენილ ცხოვრების გასამხიარულებლად ეს კარგია.

ექიმი, ნაბადსა და ყაბალახში გახვეული, ცხენზე ზარმაცად იჯდა და ნელა, ქანაობით მიდიოდა. დიდი ხნის სიცივეების შემდეგ თბილი დღე დამდგარიყო. გვერდზე გადახრილი, ზამთრის ულონო მზე თავის სხივებს ქვეყანას ძუნწად უგზავნიდა. სხივებზე თოვლი ლაპლაპებდა, ექიმს თვალებში უბჭყვრიალებდა და ზარმაც ძილსა ჰგვრიდა. იგი თავს ისე ჰგრძნობდა, თითქოს მთელ იმის ცხოვრებაში ერთი სასიხარულო წამიც არა ყოფილიყოს. ამიტომ მთელ იმის მოძრაობასა და ტანის იერში რაღაც გულ-აცრუება და გულ-გრილი ზიზღი იხატოდა.

გლეხი კი, თავ-ჩაღუნული, დადარდიანებული, ექიმის ცხენს ფეხდა-ფეხ მისდევდა და თავის უბედურებაზე ფიქრობდა. ქვეყანა, დიდი და ჭრელი, რომელზედაც მკვნესარე ცხოვრება გაბატონებულიყო, ღვარძლიანი, დამცინავად ბედნიერი და თეთრად მოლაპლაპე, ეხლა მისთვის შორს იყო. შორს იყო აგრეთვე ეს ექიმიც, რომელსაც იმისი ცოლი უნდა მოერჩინა. საეჭვო იყო, რომ ექიმს ჰკირისათვის, იმ ჰკირისათვის, რომელიც იმის ცოლს ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი, უებარი წამალი დაედო. და თუ გლეხმა ექიმი მიიწვია, ეს იმიტომ, რომ, იმედგადაწყვეტილს, მეზობლებმა ეს ურჩიეს... მანაც იქირავა ცხენი, ძველი ფარაჯა წამოისხა, პირჯვარი გადაიწერა და ექიმისაკენ გასწია. ეხლა კი ეს ექიმი, რომელსაც უკან მისდევდა და შესცქეროდა, უცხო და გულცივი იყო იმისთვის. ექიმს შველა არ შეეძლო. გლეხი დარწმუნებული იყო, რომ ექიმი ავადმყოფს სენს ვერ მიუხვდებოდა, საჭირო და უებარ წამალს ვერ დასდებდა. ექიმი შეიძლება სხვებს არჩენს, იმათ, ვინც სოფელში არა სცხოვრობენ, მაგრამ სოფლის შვილს კი იგი ვერ მოარჩენს. და ჰფიქრობდა გლეხი, რომ თვითონაც სწუხდება, მეზობლის ცხენსაც აწუხებს და ექიმსაც, რომელსაც, ფული თუ არა, პატივი მაინც დასჭირდება. შემდეგ გლეხის გონება იმ დეკეულზე გადავიდა, რომლის დაკვლაც ექიმის წასვლის შემდეგ დასჭირდება. ეს დეკეული ორი წლის წინად იყიდა, სახლში პურზე გაზარდა და ეხლა ძალიან ენანებოდა, მაგრამ სხვა გზა არა ჰქონდა: საქმლეზე ფულს ვერ იშოვნიდა. ღვინოც საკმაო არა ჰქონდა სახლში და სასესხებელი გაუხდებოდა. ყველა ამასთან გაიხსენა თავისი სამი წვრილი შვილი და გული ცრემლით აევსებოდა.

ექიმის ცხენი კი თავის მოსართავებს ზამთრის თბილ, მაგრამ ცრემლიან მზის სხივებზე აბრჭყვიალებდა, კუდს უდარდელად იქნევდა და თეთრ თოვლზე გლეხის წინ ყოველ წუთს ოთხ ახალ და ქანგიან კვალსა სტოვებდა.

ექიმიც ფიქრებში იყო წასული. ჰფიქრობდა იმაზე, რომ მისი ცხოვრება ცუდად მოეწყო. სულ სხვანაირად უნდოდა ეცხოვრა, მაგრამ ბედმა სოფელში გადმოსტყორცნა და ასეთი უფერული ცხოვრება არგუნა. რა ოცნებაში იყო გახვეული, უნივერსიტეტს რომ ათავებდა. მაშინ ცხოვრება ამის თვალწინ სულ სხვანაირად ელავდა, ისე, როგორც ეს ზამთრის თბილი მზე. გეგეშვილი ხალხის კეთილ-დღეობაზე ფიქრობდა, იმისთვის უნდოდა ემუშავნა, ბედმა კი ერთბაშად სოფელი განუწესა საცხოვრებლად. აბა აქ რა უნდა გავაკეთო, ამ მიყრუებულ მივარდნილ ადგილასაო, ფიქრობდა. ქალაქში რომ მოხდომოდა ცხოვრება, მაშინ სხვა იყო: ქვეყნისათვის ათას რასმეს გააკეთებდა და არც თავს დაზოგავდა. აქ კი ეს არ შეიძლება; აქ სიცარიელეა, ჭუჭყი და რეგვენობა. აი, მაგალითად, ეხლა ავადმყოფთან მიდის და წინდა-წინვე იცის, რომ ან გვიან დაიბარეს და ვეღარაფერს უშველის, ან არა და, რასაც ურჩევს, არ შეასრულებენ და ავადმყოფი მოკვდება.

— ვინ არის, ბიჭო, ავად?—ჰკითხა ექიმმა გლეხს.

— ჩემი დედა-კაცი გახლავთ.—უპასუხა გლეხმა.

— რა სტკივა?

— რა მოგახსენოთ... სიცხე აქვს და თავს იტკივებს.

— დიდი ხანია ავად არის?

— ორი კვირაა, რაც ქვეშაგებში წევს.

— მერე, რატომ აქამდის არ შემატყობინეთ?—გაიკვირვა ექიმმა, ყაბალახი გაიწორა, მზის სხივებზე ვერცხლის საპაპიროზე გააპრიალა და პაპიროზს მოუკიდა.

— რა ვიცი, ბატონო, გვეგონა გაუვლისო — დაღონებით უპასუხა გლეხმა, თან ისეთი კილოთი თითქოს ეუბნებოდა: „აი, მობრძანდები და გნახავთ, რაც შვილი ხარო"!

„გვეგონა!—გაბრაზებით გაიმეორა ექიმმა და პაპიროზს მძლავრად მოსწია:—წადი და ამათში რამე გააკეთე! მუშაობის ყოველ ხალისს წაგართმევენ!—ფიქრობდა იგი.

ირგვლივ კი სიჩუმე იყო. თოვლს ხრაშა-ხრუში გაჰქონდა ფეხ-ქვეშ, უზანგს რაღაცა რკინა ჰხვდებოდა და ხამუშ-ხამუშად უშნოდ წკარუნებდა. დაღონებულ, უიმედო გლეხს თამბაქოს ბოლი ჰხვდებოდა და მხედრის გულ-გრილობა აბრაზებდა; და ყველაფერი: ეს თოვლი, მზე, ეს ფიქრები და ლაპარაკი გლეხისათვის მტანჯველი და გულ-გრილი, ხოლო ექიმისათვის—დაწვრილმანებული და მომწყენი.

სერს იქიდან საყდრის ჯვარი გამოჩნდა. ისიც ბჭყვრიალებდა. ჯვრის დანახვაზე გლეხმა ერთი ამოიოხრა და პირჯვარი გადაიწერა. ჯვრის ლაპლაპი გლეხის გულს რაღაც სიწმინდით ეფინებოდა.

ექიმმა პაპიროსი გადააგდო და წარმოიდგინა ის, რაც სოფელში მოელოდა: ჯერ პატარა და ჭუჭყიანი ქოხი, სადაც ავადმყოფი კვნესის. ეხლა ეს ქოხი, უექველია, ხალხითაა სავსე და ავადმყოფს სუფთა ჰაერს უფუჭებენ. იქვე მკითხავი იქნება და ავადმყოფს, უექველია, ულოცავს. ექიმს გული მოუვიდა... მერე მოაგონდა თავადი, რომელსაც კარგი ღვინო აქვს და მასწავლებელი, რომელთანაც ამ ერთი თვის წინად პროფერანსი ითამაშა და 15 მანეთი წააგო. წარმოიდგინა მისი ლამაზი ცოლი, რომელიც სულ ქმართან არის, არა სცილდება და შვილებს უზრდის. ლამაზი, მოხდენილი და მადლიანი დედაკაცია, რომელსაც თირკმელები აქვს დაზიანებული. მერე გონების თვალით ქალაქში გადავიდა, იქ, სადაც მისი სქელი, ულამაზო ცოლი სცხოვრობს შვილებთან ერთად. ვინ იცის, ეხლა ის რასა სჩადის იქ და ეს კი მარტოა... მოაგონდა თავისი უფროსი ვაჟი, გიმნაზიის მეორე კლასის მოწაფე, რომელმაც ამას წინად სამი ორი ერთად მიიღო. შეიძლება დარჩეს კიდეც კლასში. ყველა ამან ექიმი ცუდ გუნებაზე დააყენა. ვერცხლის საპაპიროზემ მზეზე ხელ-ახლა გაიპრიალა, ასანთის პატარა ალმა ცხვირის წვერი გაუთბო და ჰაერში კვლავ ბოლი დატრიალდა.

სოფლის ქოხებიც გამოჩნდნენ. მათ თავებზე კვამლი ზანტად იკლაკნებოდა. თბილ დღეს სოფელი გაეღვიძებინა და ხალხი გარედ გამოშლილიყო.

— ქვენ ეგრე მიბრძანდით სოფელ-სოფელ და მე მღვდელთან შევივლი.—მიაძახა ექიმს გლეხმა, გზას გადაუხვია და საყდრისკენ გასწია.

„ჰმ, მღვდელი!—გაბრაზდა ექიმი: რად უნდა? მე ხომ ჯერ არაფერი მითქვამს"?

მაგრამ გლეხმა იმის პასუხს არ დაუცადა. მას თავისი ფიქრები ჰქონდა და ამ ფიქრებს ექიმის სიტყვები ვერ შეარყევდა.

ექიმის წინ შავად დღარულ სასოფლო გზა მიიკლაკნებოდა. ცხენი ზანტად მიდიოდა. სამიკიტნოდან გამოსულმა გლეხებმა სალამი მისცეს, ექიმმაც პასუხი გასცა და ავადმყოფი იკითხა.

როცა ექიმი იქ მიიყვანეს, შინაურები დაფაცურდნენ, ექიმს გზა მისცეს და შინ შეუძღვნენ. ექიმმა ნაბადი და ყაბალახი მოიხსნა, ავადმყოფს მიუახლოვდა და სინჯვა დაუწყო. იმის სახეს გაჯავრება და ზიზღი დაეტყო. იქ მყოფთ მიუბრუნდა და მრისხანებით უთხრა.

— რატომ ადრე არ შემატყობინეთ? ეხლა რაღა ვუშველო: ადამიანი თითქმის მკვდარია!

ქოხში სიჩუმე ჩამოვარდა. ვინ იცის, ეს სიჩუმე მწუხარებისა იყო თუ შიშისა. ყველამ თავი დახარა, ისე თითქოს ბოქაულის მათრახის მოხვედრას უცდისო.

კარებმა ნელა დაიჭრიალა და ეზოდან ვიღაცის ქვითინი შემოისმა.

ექიმმა წამალი გამოსწერა, შინაურებს დარიგება მისცა და გარედ გავიდა. სუფთა ჰაერი და თბილი მზე ძალიან იამა, ნაბადში ნებიერად გაეხვია და ბოსელთან მდგომ გლეხებს უთხრა:

— თუ საჭირო გავხდე, შემატყობინეთ, მასწავლებელთან ვიქნები.

გრძელსა და ლაზათიან სადილს შემდეგ ექიმმა და მასწავლებელმა თავადისაკენ გასწიეს. მზე უკვე ძალზე გადახრილიყო და დილანდელ სითბოს მაგივრად ეხლა სუსხი იდგა. ექიმი მაინც კარგ გუნებაზე იყო, მასწავლებელს ბევრს ემასხარავებოდა, გუნდებს ესროდა და ერთი გლეხის დედაკაცზე, რომელსაც წყალი მოჰქონდა, რაღაც უწმაწურობა წამოისროლა და თან თითონვე გულიანად გადიხარხარა.

თავადთან კარგა დაღამებამდის ითამაშეს ქაღალდი. ექიმმა კიდევ წააგო 14 მან. და 50 კ. იგი ცხარედ თამაშობდა. ქაღალდი იმის ხელში კანკალებდა, ხტოდა, იგრიხებოდა და რაც უფრო მეტს აგებდა, ქაღალდი მით უფრო ნერვიანი, თავ-

ყოფნისას საზოგადო კრებას წარუდგენ, მაგრამ რადგან საზოგადოებას ჯერ-ჯერობით ცოტა წევრი ჰყავს ამიტომ სასურველია რაც შეიძლება მეტი ხალხით მიიზიდონ კრებაზე. კნ. მ. თუმანოვისა.

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

**რკინის გზებზე.** „ბაკუს“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: გზათა მინისტრმა გადასწყვიტა რკინის გზების ბილეთების ფასს დაუკლოს. მინისტრი ამ საკითხს ამ დღეებში აღძრავს მინისტრთა საბჭოში და მოითხოვს საჩქაროდ განხორციელდეს ეს. მინისტრი ამას იმით ასაბუთებს, რომ ბილეთების ფასის მომატების შემდეგ რკინის გზების შემოსავალი შემცირდაო.

**ტრამვაი.** „მომ.“ სწერს: „16 ოქტომბერს ტრამვაის დირექციამ დაითხოვა 18 კანტროლიორი და 8 კონდუქტორი, რადგან დირექციის მიერ წარდგენილ პირობებს არ მოაწერეს ხელი. დირექციის განცხადებაში ნათქვამია, ვისაც არა სურს და ხელს არ მოაწერს ახალ პირობებს, იგი დათხოვნილი იქნება და ჯილდოსაც ვერ მიიღებსო. ტრამვაის ყველა მოსამსახურე ძალიან აღელვებულია დირექციის ასეთს მოქმედებით და ადგილობრივ ადმინისტრაციას აცნობეს, რომ თუ ვინიცობაა გაფიცვა მოხდა, ამაში დირექცია იქნება პასუხისმგებელი და არა ჩვენ, მოსამსახურეებიო. დირექტორი დანარჩენ მოსამსახურეებსაც დათხოვნით ემუქრება.“

**სააქციონერო საზოგადოება.** „რეჩი“-ს სიტყვით, პეტერბურგში შემდგარა ახალი სააქციონერო საზოგადოება. საზოგადოებას გადაუწყვეტია ჯულფა-ჯევათ-აჯიკაბულის შუა რკინის გზა გაიყვანოს. რკინის გზას სიგრძით 343 ვერსი ექნება.

**ვასილ პეტრიაშვილის ფონდი.** ამას წინად შეცდომით ვწერდით, რომ ოდესის პროფესორმა მელიქიშვილმა 107 მანეთი გამოუგზავნა წერა-კითხვის საზოგადოებას ილია ჭავჭავაძის ფონდისთვისაო. აღნიშნული ფული პროფესორს შეუკრებია განსვენებულ ვ. პეტრიაშვილის ფონდის გასაძლიერებლად.

**დამალული ბოქაული.** „ტფ. ლის.“ სწერს: „განჯის მესამე ნაწილის ბოქაულად ნამყოფმა ად. ანდ. ზედგინიძემ, როგორც მოწმე დაიბარა თავის კანცელარიაში ვარტაშენის მცხოვრები ქალი ჯულუტ მაგიო-ფაში-ყიზი, ჩაიკეტა კარები და ნამუსი აჰხადა. ზედგინიძე სამართალში მისცეს, მაგრამ იგი სადღაც მიიმალა.“

**თავ-დასხმა კავკავში.** 16 ოქტომბერს კავკავში 15 შეიარაღებული კაცი თავს-დასცემია ტყის საწყობს, იარაღი აუყრია დარაჯებისთვის და მოუკლავთ და გაუცარცვიათ პატრონი საწყობისა: ამ უკანასკნელს, თავ-დაცვის დროს, მოუკლავს ერთი თავ-დამსხმელთაგანი. ეს მეოთხედ დასცემიან ამ საწყობს.

**სასოფლო საავადმყოფო.** გუბერნატორმა ნება დართო გაიხსნას დუშეთის მაზრის სოფელ ფასანაურში სასოფლო საავადმყოფო, ხოლო ქობორტში—საფერშლო პუნქტი.

**კრება.** ტფ. სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოში დღეს 18 ოქტომბერს, დილის 11 საათისთვის დანიშნულია წლიური საზოგადო კრება ტფ. გუბერნიის ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ თავად-აზნაურთა საზოგადოებისა. კრებამ უნდა განიხილოს წასული წლის მოქმედების ანგარიში, მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა და სხვა საქმეები.

**ხოლერა ამიერ კავკასიის რკინის გზაზე.** „კასპი“-ს სიტყვით სადგურ აჯიკაბულზე ერთი მუშა გახდა ხოლერით ავად.

**უპასპორტოები.** 14 ოქტომბერს პოლიციის მე-9 და მე-4 ნაწილში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 36 უპასპორტო კაცი.

**რუსული გაზეთი.** ამ დღეებში ტფილისში გამოვა ახალი რუსული ყოველ-დღიური გაზეთი „ნოვაია რეჩი“.

**სტიპენდიები.** ტფ. ქალაქის გამგეობის დადგენილებით ავლაბრის გიმნაზიაში დაარსებულ იქმნა 5 სტიპენდია შამხაროვის სახელობისა. თითო სტიპენდიანტს მიეცემა 50 მ.

**შუამდგომლობა.** „კასპი“-ს სიტყვით, პირველ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ნამყოფ რამიშვილს დეპუტატ გეგეჭკორისთვის წერილი მიუწერია. რამიშვილი სთხოვს გეგეჭკორს, იშუამდგომლე, ნება მომცენ, რომ კრასნოიარიდან ასტრახანში გადმომიყვანონო. რამიშვილი, როგორც ვიცით, კრასნოიარში გადაასახლეს.

**სესხი ბაქოს.** დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, ბაქოს უმაღლესად ნება დაერთო მიიღოს სესხი—2,650,000 მანეთი (5%), 49 წლის ვადით. ეს ფული წყლის გამოყვანას უნდა მოხმარდეს. ბაქოს გამგეობას უკვე გაუმართავს მოლაპარაკება კაპიტალისტებთან.

**ხმოსან ელიავას დათხოვნა.** ხვალ, 19 ოქტომბერს, ტფ. ქალაქის საბჭოს, სხვათა შორის, განსახილველად წარედგინება მოხსენება ხმოსნობიდან ნ. ზ. ელიავას დათხოვნის შესახებ. ქალაქის გამგეობამ გუბერნატორისაგან მოწერილობა მიიღო—ნ. ზ. ელიავას უფლება არა აქვს, საქალაქო დებულების ძალით, ხმოსნად იყოს, რადგანაც მან „ტიფლისკი რაბოჩის“ რედაქტორობის დროს ისეთი წერილი დაბეჭდა, რომ სასამართლომ ერთი წლით დაპატიმრება გადაუწყვიტაო.

**„ალმანახი“.** დღეს გამოვა ალმანახის „ქართველი ერის“ მეორე ნომერი შემდეგის შინაარსით: „მეთაური“. „ირაკლის გოდება“, ლექსი ა. შანშიაშვილისა. „ფრანსისკო ფერერი B-ისა. „ჩეზარე ლომბროზო“ B-ისა. „მთის არწივი შამილი“, ა. ფრონელისა. „ვისი ბრალია“? ც. ქვიტისა. „მეგობრებს“, ლექსი ი. გრიშაშვილისა. ** ლექსი, ი. მჭედლიშვილისა. „მელია სერაფინია“, ზღაპარი, ვაჟა-ფშაველასი. „თეატრი“, B-სა. „ერის უფლება“ Bâton-სა.

**ჯარიმა.** ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალების 15 წლის თავზე ლექცია წაიკითხა ბ-ნმა გელეიშვილმა. ამ ლექციისთვის გელეიშვილი გუბერნატორმა ეხლა 50 მანეთით დააჯარიმა.

● ტფ. ჯიბგირებმა 16 ოქტომბერს გაცარცვეს ქუთაისის მაზრის მცხოვრები მამასახლისის ნაცვალი ივანე ნაცვლაძე. ჯიბგირებს მისთვის ქისა გადაუგდიათ და ამ ხრიკით ჯიბიდან 54 მან. და 80 კაპ. ამოუცლიათ. პოლიციელები კვალში ჩაუდგნენ ჯიბგირებს და დააპატიმრეს გაბრიელ დარდაგანიანცი, ანდრია ზეჩატურიანცი და გიორგი ზურაბიანცი. ყველანი პროფესიონალური ჯიბგირები არიან.

● 16 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, ბანნი ქუჩაზე პოლიციამ დააპატიმრა ადმინისტრატიულად გადასახლებულნი ამის ყულ ასკერ ოღლი და ისააკ ჩიჩია, რომელნიც თავის ნებით დაბრუნებულან ტფილისში.

## ქ უ თ ა ი ს ი

**ქუთაისის ს.-აზნ. ბანკის თავმჯდომარის გადაყენება.** დანამდვილებით გავიგეთ, რომ პეტერბურგიდან დეპეშა მოვიდა ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის მთავრობის მიერ დანიშნულ თავმჯდომარის ერემეევის გაწვევის შესახებ. რწმუნებულთ უფლება ეძლევათ, აირჩიონ ბანკის თავმჯდომარე.

**გადასახადების აკრება.** ქუთაისის ახლო მახლო მდებარე სოფლის საზოგადოებები მეტად შეწუხებულნი არიან იმ გარემოებით, რომ წელს მოუთხოვნიათ მათთვის ძველი წლების დარჩენილი გადასახადები. ზოგიერთ საზოგადოების მცხოვრებთ თხუთმეტ-თხუთმეტი მანეთი აქვთ შეწერილი გადასახდელად. ადვილად წარმოსადგენია, თუ რა ძნელი, პირდაპირ შეუძლებელია სოფლელთათვის ერთად 15 მანეთის გადახდა არა თუ წელს, როდესაც საერთოდ თითო თვის საზრდო არ მოსვლიათ და ბევრს შიმშილი ახლავე კარზე მისდგომია, არამედ კარგ მოსავლიან წელიწადსაც კი. როგორც გავიგეთ, ქვიტირის საზოგადოებას, რომელმაც 9 წლის ნედომკებს სთხოვენ, შუამდგომლობა აღუძრავს კავკასიის ნამესტნიკის წინაშე, რომ დანიშნულ იქმნას ადგილობრივი გამოძიება, ითვლება თუ არა საზოგადოებაზე ამდენი დარჩენილი გადასახადი. მანამდის კი შეჩერებულ იქმნას გადასახადების აკრება. მცხოვრებნი ამტკიცებენ, რომ მათზე არავითარი გადასახადი არაა დარჩენილი და მართლაც საეჭვოა, რომ მთავრობას მთელი 9 წლის (1891-დან 1900 წლამდე) განმავლობაში არაფერი გადაეხდევინებინოს საზოგადოებისათვის.

**მეურნეთა კრების დადგენილებანი.** სოფლის მეურნეთა კრების თავმჯდომარემ ი. ს. ფანცხავამ უკვე წარუდგინა მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა ადგილობრივს სამმართველოს სხდომების ოქმები და სთხოვა, რომ კრების დადგენილებებს მისცეს საჭირო მიმართულება. ამათში ბევრი მეტად საჭირო და სასწრაფო დადგენილებაა, რომელიც შეეხება წლევანდელ მოუსავლობისაგან დაზარალებულ მხარეებს.

**ქალაქის საბჭო.** თავისს უკანასკნელ სხდომაზე ქალაქის საბჭომ გააუქმა 15 სექტემბრის დადგენილება ხორცის ნიხრის შემცირების შესახებ და ისევ ძველი ნიხრი დასტოვა, რომლითაც ხორცი უნდა იყიდებოდეს შემდეგ ფასებში: მორეკილ საქონლის ხორცი პირველ ხარისხისა გირვანქა 11 კაპ., მეორე ხარისხისა—10 კაპ.; ადგილობრივ საქონლის ხორცი პირველ ხარისხისა—9 კაპ., მეორესი—8 კაპ.; სუკი 18 კაპ.; ძუძუმწოვარა ხბოს ხორცი—12 კაპ.; მოზრდილ ხბოსი და ცხვრის ხორცი—11 კაპ.; ღორის ხორცი—10 კაპ. და კამეჩისა—7 კაპ. ამ ფასებში ხორცი უნდა იყიდებოდეს პირველ დეკემბრამდის. ამასთან საბჭომ დაადგინა, რომ მორეკილ საქონლისა და ადგილობრივის ხორცი სასაზოებში ცალ-ცალკე ეკიდოს; ხორცს ზევით კედელზე უნდა მიეკრას ფიცარი, რომელზედაც უნდა ეწეროს „მორეკილი“ (საქონლის ხორცი), „ადგილობრივი“ (საქონლის ხორცი). გარდა ამისა, ადგილობრივ საქონლის ხორცზე დასაკრავად უნდა გაკეთდეს განსაკუთრებული ბეჭედი, რომელსაც ეწერება „ადგილობრივი“. ამ საშუალებით ქალაქის გამგეობას სურს, რომ დაიფაროს მცხოვრებნი ყასბებების თაღლითობისაგან, რომელნიც ადგილობრივ საქონლის ხორცს მორეკილ საქონლის ხორცის ფასად ჰყიდიან. ამავე სხდომაზე ქალაქის საბჭომ მოისმინა საგანგებო კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი სავალდებულო დადგენილებათა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში, კანტორებსა და საწყობებში მოსამსახურე პირთა ნორმალურ შესვენების შესახებ. ამ სავალდებულო დადგენილებათა უმთავრეს მუხლის ძალით, ხსენებულ დაწესებულებებში მოსამსახურე პირნი მუშაობენ დღეღამეში არა უმეტეს 11 საათისა; აქედანაც ერთი საათი ეძლევათ სადილის საჭმელად და დასასვენებლად. ამ სავალდებულო დადგენილებათა შინაარს შემდეგში გავაცნობთ მკითხველებს.

**ავადმყოფობანი.** ქუთაისში ძლიერ გავრცელებულია სხვა და სხვა სენი, განსაკუთრებით სახადი და მუცელა.

**ბაზრის ზედამხედველნი.** ქალაქის ბაზრის ზედამხედველად დაინიშნა ი. გელოვანი. იმის თანაშემწეებად—ვ. ლოლობერიძე (ყოფილი ბაზრის ზედამხედველი) და პ. კორძაია.

# პატარა ფელეტონი

## ძ ი ლ შ ი

**მ ი რ ე ხ ი**

(თავისუფალი თარგმანი).

ძილში დამესიზმა, რომ სალ კლდეს ვიყავ მიჯაჭული... ჩემ წინ თავისუფალი ზღვა ზანტად და ლაღად მიაქანებდა შორით-შორს თავის ტალღებს. მე მიჯაჭული ვიყავი და თავდავიწყებული, გააფთრებული ამაოდ ვაჩხარუნებდი ბორკილებს, ყოველ განძრევაზე, ჯაჭვების პირიანი რგოლები ღრმად სჭრიდა, მიარავებდა მკლავებს, მაგრამ მაინც მედგარ მებრძოლის ამაყურ გრძნობით ხელებ წინ გაშვერილი ზღვას უკიოდი: „თავისუფლებავ, დამიხსენ!“

ჩემს ზემოდან კი ფრინველები ვერაგულად დასცინოდნენ ჩემს გიჟურს ყვირილს და რომ ჩაეხშოთ იგი, წკრიალა, მომხიბლავის ხმით დაგალობდნენ:

„ოჰ ზღვაო, ყურს ნუ ათხოვებ მონის გმინვას... რაში გესაჭიროება მოისმინო მუდარა თავისუფლებაზე, ან რად გინდა იცოდე ადამიანთა ტანჯვა-წვალება! ჩვენ გაგართობთ ისეთის სიმღერით, რომელშიაც ყვავილები და ოცნებანი უდარდელის სილამაზითაა ჩაქსოვილი და ხალხი კი... რას აქნევ, დეე იტანჯოს და ეხეთქოს მძიმე ბორკილებით სულ-შეხუთული. დეე, როგორც მოისმის, ისევე მისწყდეს იმათი მუქარის ძახილი... რაში ვსაჭიროებთ! ჩვენი სტიქია კი სილაღეა და ნაზი გალობა ოცნებაზე, კუჟუჟა ღრუბლებზე, განცხრომაზე, ყვავილებში მთვლემავ ნამზე!“

მშფოთარე ზღვას ასე დაჰგალობდნენ ფრინველნი.

მე კი, მძიმე ჯაჭვების ჟღარუნით, ვიწვევდი რა თავისუფლების წმიდა სახეს, მშფოთარე ზღვას გავსძახოდი:

„ფრინველთ შენ ყურს ნუ უგდებ, თავისუფალო ზღვავ, და შემხსენ ბორკილები... ზღვაო, გაივლის ტანჯვა წვალება, გაივლის კაეშანიც და მაშინ მე სულ სხვა გვარათ გიმღერ. ჩემი სიხარული ფოლად ცისარტყელასებრ გამოისახვის ჩემს სიმღერაში, მასში იელვებს ჩვენი ტურფა ქვეყანა და ალმაფრენის სიძლიერით დაიგუგუნებს მისი ბედნიერება... ჰოი, თავისუფალო ზღვავ! შემხსენ მხოლოდ ბორკილები!..“

გ. ა—ციხელი.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** დღეს ქართულ თეატრში, წარმოდგენილი იქნება მელოდრამა „ორი ობოლი“ თარ. აქ. ცაგარლისა. ამ პიესისათვის მოწვეულია ნ. გაბუნია-ცაგარლისა (ფროშარის როლში) და სვ. სვიმონიძე (ჟაკის როლში). მონაწილეობას იღებს მთელი დასი. ადგილების ფასები დაკლებულია.

—

**წარმოდგენის გადადება.** გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ 7 ოქტომბრისთვის დანიშნული ინტერნაციონალური წარმოდგენა ქართულ თეატრში, გადაიდო 31 ოქტომბრისთვის. აღებული ბილეთები გამოდგება ამ საღამოსთვის.

—

**სახალხო თეატრის რეპერტუარი.** „ტიფ. ლის.“-ში ვკითხულობთ: „სახალხო სახლში დღემდე სდგამდენ საზოგადო რეპერტუარის პიესებს, ეხლა-კი „ტფ. პოლიცმეისტერი ნებას აძლევს მხოლოდ ისეთ პიესების დადგმისას, რომლებიც შეტანილია სახალხო თეატრების რეპერტუარში“.

# სასამართლო

**უცნაური საქმე.**

ჩვენს ცხოვრებაში ბევრი უცნაური ამბავი ხდება და ერთი ასეთი ამბავთაგანია ქვემოდ მოყვანილი საქმე.

1906 წელს, 26 დეკემბერ, ამიერ-კავკასიის რკინიგზის კონდუქტორი, ქუთაისის გუბერნიის სოფ. ტობანიერის მცხოვრები დიმიტრი მეგენეიშვილი სამსახურის მოვალეობისა გამო გაჰყოლია სახალხო მატარებელს. როდესაც მატარებელი სად. კოვლიარში (ბაქოს გზაზე) მისულა, მეგენეიშვილი შესულა სადგურის უფროსთან და გამოურთმევია ჩვეულებრივი სამგზავრო დეპეშა ორთქლმავალის მემანქანისათვის გადასაცემად, რაც შეუსრულებია კიდეც. მაგრამ როდესაც გამობრუნებულა, ვეღარ მოუსწრია თავის ვაგონთან მისვლა, რადგან მატარებელი დაძრულა. მეგენეიშვილი შემხტარა, მაგრამ ხელი დასხლტომია და უკანასკნელი ვაგონის ქვეშ ჩავარდნილა. მატარებელს მარცხენა ფეხი მოუწყვეტია, რის შემდეგაც იგი მოუთავსებიათ რკინის გზის საავადმყოფოში. რკინის გზის სამმართველოს უჩივლელად შეუძლევია ერთ დროულ დახმარებად 3404 მან. მაგრამ მეგენეიშვილს 6000 მან. მოუთხოვნია და საჩივარიც აღუძრავს.

ეს საქმე ოლქის სასამართლოს 1907 წ. 28 ნოემბერს დაუნიშნავს გასარჩევად, მაგრამ მოწმების გამოუცხადებლობის გამო გადაუდვია. 1908 წლის 10 ოქტომბერს ხელმეორედ დაუნიშნავს საქმე, მაგრამ ყველა გაკვირვებულა, როდესაც გარჩევის დროს რკინის გზის ვექილს წარუდგენია სასამართლოსთვის ბარათები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მეგენეიშვილს ფული უკვე მიუღია.

1907 წელს მაისის რიცხვებში ვიღაც ხარებოვი მისულა ნოტარიუსს მღებროვის კონტორაში და თან მიუყვანია ერთი კაცი. მეგენეიშვილის გვარით გაუკეთებინებია რწმუნების ქაღალდი, რომ ვითომ მეგენეიშვილი თანახმაა რკინის გზის სამმართველოსაგან შეძლეულ ფულზე და ვითომ ამ ფულის მიღებას ანდობს ხარებოვს. ამ რიგად [illegible] 3404 მან. აი ეს ბარათები იყო, რომ წარუდგინა რკინის გზის ვექილმა სასამართლოს. მეგენეიშვილს განუცხადებია რომ ბარათები ყალბიაო. უთქვამს ისიც, რომ ამ, დროს იგი რკინის გზის სავადმყოფოში იწვა.

საქმე მაშინ პროკურორასთვის გადაუციათ და პასუხიც მიუღიათ იმისაგან, რომ ბოროტ-მოქმედი ვერ აღმოაჩინესო.

ოლქის სასამართლომ 16 ოქტომბერს ეს ბარათები ექსპერტებს გადასცა მეგენეიშვილის ხელის შესამოწმებლად და გადასდო საქმე ექსპერტებისაგან დასკვნის მიღებამდის.

მეგვინეიშვილის ინტერესებს იცავს ნაფიცი ვექილი მაჭავარიანი.

**სახელმწიფო ფულის გაფლანგვა.**

16 ოქტომბერ სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე განჯის ყოფილ ბოქაულის ალექსანდრე ტურგიევისა, რომელსაც ჰბრალდება სახელმწიფო ფულის 4,751 მან. და 88 კაპ. გაფლანგვა.

1904 წელს ოქტომბრის დასაწყისში საგუბერნიო სამართველოს უფროს წევრს მოუხდენია რევიზია და აღმოჩნდა, რომ 4,751 მან. აკლდა. ბოქაულ ტურგიევი გამოტეხილა და განუცხადებია: ჩემი მახლობელი უფროსი პოლიცმეისტერი იღებდა ჩემგან სესხად სახელმწიფო ფულს, სახლის ქირისათვის, ცხენის სასყიდლად, როიალის სასყიდლად და სხვა. და როგორც უფროსს, ადგილი დაკარგვის შიშით, უარს ვერ ვეუბნებოდიო.

ბრალდებული ტურგიევი ამჟამად მთავრობის მამასახლისად არის ტფილისის მაზრაში. სასამართლოში განაცხადა: „მე ვარ დამნაშავე მხოლოდ იმაში რომ, ადგილის დაკარგვის შიშით, ვუსრულებდი კერძო თხოვნას ჩემს უფროსსაო“. მოწმების ჩვენებამ დაამტკიცა ის, რომ პოლიცმეისტერს ულია მისგან სესხად ფული.

პალატამ დამნაშავედ იცნო ბრალდებული ტურგევი 4,571 მან. გაფლანგვაში და მიუსაჯა პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა ერთის წლით. ამას შემდეგ იგი დაატუსაღეს.

# უცხოეთი

**მარკიზ იტოს მოკვლა.**

ხარბინიდან ატყობინებენ გაზეთებს, რუსეთის პროკურორმა იაპონიის კონსულის თანადასწრებით, ჩვენება ჩამოართვა მარკიზ იტოს მკვლელს კორეელ ინჩანგას. მკვლელმა განაცხადა, რომ ის იმ ოც შეთქმულთაგანია, რომლებმაც მტკიცე ფიცი დასდვეს მოჰკლან მტარვალი, მათი სამშობლოს დამღუპველი. ტყვიები, რომლითაც იტო მოჰკლეს, მოწამლული აღმოჩნდა, ტყვიის თავიც დასერილი იყო.

**აფიცრების გამოსვლა ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტიდან.**

რუმელიის კორპუსების აფიცრებმა გადასწყვიტეს დაემორჩილონ სალონიკის კრების დადგილებას. აფიცრები გამოვლენ ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტიდან, რომელიც ამ ბოლო დროს თანდათინ კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოების ხასიათს იღებს. ამ საზოგადოებას თავისი პოლიტიკური ფრაქცია ეყოლება პარლამენტში.

**ზაგრების საქმეზე გასამართლებულნი.**

ამას წინად ბეჯითად ავრცელებდნენ ხმას, რომ ზაგრების საქმეზე გასამართლებულთ აპატიებენ სასჯელსაო. ეხლა, როგორც სარწმუნო წყაროებიდან შეუტყვიათ, ეს ხმები სინამდვილეს არ შეეფერება. ეს კია, რომ ახლო მომავალში ამათ სასჯელი თითქმის ნახევრით შეუმცირდებათ, გასამართლებულებმა იმპერატორის მიმართ თხოვნის მიცემაზე უარი განაცხადეს.

**დიდი ბლღუმი.**

მომავალ წელში გერმანიის ჯარის დიდი ბლღუმი რუსეთის საზღვარზე დაცინგსა და კენიგსბერგს შუა მოხდება. გერმანიის გაზეთები ამ მოვლენას სერიოზულ მნიშვნელობას აძლევენ.

**რუსეთ-იტალიის შეთანხმება.**

უცხოეთის გაზეთები დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ რუსეთსა და იტალიას შორის შეთანხმება მოხდა. ორივე სახელმწიფო ეცდება დაიცვას დღევანდელი მდგომარეობა ბალკანეთის საქმეებში.

**ერთობისა და პროგრესის პარტია ოსმალეთში.**

გენერალისიმუსმა მაჰმუდ-შევკეთ-ფაშამ მიიწვია სტამბოლის აფიცრობა და მიჰმართა სიტყვით, მიებაძათ იმისთვის და პოლიტიკის საქმეებში აღარ გარეულიყვნენ. ამასთან შევკეთ-ფაშამ უთხრა აფიცრებს, ვინც მე არ მომბაძავს, იმან ჯარს თავი უნდა მიანებოსო. ერთობისა და პროგრესის პარტიის კომიტეტი თავის ძველ დანიშნულებასთავის ანებებს, საიდუმლო ტრიბუნალად აღარ იქნება, იგი ნება-დარ-

ნება და ჯიუტი ხდებოდა. რაც უნდა კარგი ქაღალდი სჭეროდა ექიმს ხელში, მის მოპირდაპირეთ უფრო უკეთესი გაუჩნდებოდათ და ძალა უნებურად აგებდა და ბრაზობდა.

მაგრამ როდესაც დიასახლისმა, კეთილმა კნეინამ, სტუმრები ვახშამზე მიიწვია, როდესაც გაბრაზებული ექიმის ცხვირს ჩახოხბილის სუნი მიუვიდა და სუფრა გადაშლილ მაგიდაზე ბოთლები დაინახა, ყველაფერი ერთბაშად დაავიწყდა და მხიარული და მოცინარი მაგიდას მიუჯდა. დიასახლისის ქალს ორიოდე ქათინაურიც კი სტყორცნა. ქალმა სიცილის მსგავსად წაიფრუტუნა და ხელი მიიფარა. ყველა სადღეგრძელოს ექიმი დიდის სიამოვნებით სვამდა, აუარებელ საჭმელსა სჭამდა, თან გულიანად იცინოდა და სხვებსაც აცინებდა. ღიღინს ისხდნენ და ტკბილად მასლაათობდნენ. ხოლო, როდესაც დასაძინებლად მიდიოდა, ყველაფერი ერთმანეთში აირია: თავადი, მასწავლებელი, მათი ცოლშვილი, წითელი ღვინით სავსე ჭიქები, გლეხი და ავადმყოფი დედაკაცი; და როცა რბილ ლოგინზე დაწვა, ლოგინმა დაიწია და ექიმს ლულო მოჰგვარა, იმის თვალ-წინ დიასახლისის ქალმა სიცილის მსგავსად წაიბრუტუნა, ტუჩებზე ხელი მიიფარა და გაწითლდა. შემდეგ კი ყველაფერი რაღაც შავმა დაჰფარა.

მეორე დღეს, სადილთ უკან, ერთი ხელი კიდევ ითამაშეს და ექიმმა 16 მოიგო. ხოლო საღამოთი, როდესაც ყველანი მღვდელმა დაჰპატიჟა, მოგებული ფული ისევ წააგო, გაბრაზდა, მაგრამ ვახშამზე ისევ გამხიარულდა და ისე შეზარხოშდა, რომ როდესაც მეორე დღეს გაიღვიძა, აღარ ახსოვდა, სად იყო.

ყველაფერი კარგი იყო: ქაღალდის თამაშიც, ვახშამიც, მაგრამ შინ წასვლა აუცილებელი იყო და ამიტომ ძალა-უნებურად გასწია თავის სოფლისაკენ. ამინდი ისეთი აღარ შეჰხვდა, როგორიც იმ დღეს იყო. ეხლა მზე აღარა სჩანდა, ცოტათი სთოვდა და სუსხავდა. დანარჩენი კი ყველაფერი ისევ ისეთი იყო, როგორც იმ დღეს, ირგვლივ კვლავ თეთრი თოვლი იდო, კვლავ სიჩუმე იყო და უზანგოსაც კვლავ წკარაწკური გაჰქონდა. ექიმს ბევრი სმისაგან თავი სტკიოდა და საფეთქლები უცემდა. ცხენის ფეხ-ქვეშ თოვლს ისევ ხრაშა-ხრუში გაჰქონდა და ექიმი ისევ ფიქრებს მისცემოდა. ფიქრობდა, კარგი იქნება, რომ ეხლა თავი არა სტკიოდეს და არც თექვსმეტი მანეთი ჰქონდეს წაგებული, რომ შინ თავისი ტოლი უცდიდეს, ისე, როგორც უცდიდა მასწავლებელს მისი ცოლი. მაგრამ ყველაფერი ეს იმის ხელთ არ იყო, ყველაფერს ამას რაღაც უხილავი ძალა განაგებდა, რომელსაც ცხოვრება ჰქვიან, მაგრამ ექიმს ისე ეგონა, თითქმის ეს ცხოვრება მხოლოდ მოგონილი სისულელეა, რომ ქვეყანაზე არავითარი ცხოვრება არ არსებობს, გარდა ამ ჩუმ გადათეთრებულ მთა-მინდვრებისა და თავის ტკივილისაო.

როდესაც სერს გადასცდა, უკანიდან ზარის ხმა მოესმა. გლეხის ავადმყოფი ცოლი გადაცვლილიყო და ეხლა ასაფლავებდნენ. ზარის ამ მტირალმა, მძიმე და სამგლოვიარო ხმამ, რომელმაც თოვლიან ჰაერში გაიარა, მყუდროება დაარღვია, ექიმის გაბრუებულ თავში შევიდა, სიკვდილი მოაგონა და ერთ მოკლე წუთში ინატრა კიდეც სიკვდილი, რომ თავის ტკივილი და ცარიელი ჯიბე აღარ ეგრძნო.

ცხენი კი ზანტად მიაბიჯებდა, იმის ფეხ-ქვეშ თოვლს ხრაშა-ხრუტი გაჰქონდა, ხოლო უზანგო თავის რაკუნით თოვლიან სიჩუმეს არღვევდა.

ს. ტ—შვილი.

თულ ლეგალურ საზოგადოებად გადაქცევა და პოლიტიკის საქმეებსაც დამოუკიდებლად არ აწარმოებს. საზოგადოება თავის წევრებთაგან ამოირჩევს დეპუტატებს პარლამენტში. საზოგადოების მიზანი იქნება ხელი შეუწყოს ქვეყნის კულტურულ განვითარებას. ამ მიზნის მისაღწევად საზოგადოება დაარსებს სახალხო სკოლებს და სხვა კულტურულ დაწესებულებებს, ამავე დროს ეცდება ოსმალეთში მცხოვრებ პატარა ერებთან კარგ განწყობილებაში იყვეს.

**კოკოვცევი შორეულ აღმოსავლეთში.** ფინანსთა მინისტრი კოკოვცევი ამ ჟამად შორეულ აღმოსავლეთში არის. როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, კოკოვცევი უნდა შეხვედროდა მარკიზ იტოს. უცხოეთის გაზეთების სიტყვით, იტოს დავალებული ჰქონდა მანჯურიის საქმეების გამო მოლაპარაკებოდა რუსეთის მთავრობის წარმომადგენელს. უნდა ნათლად განესაზღვრათ რუსეთისა და იაპონიის გავლენის ტერიტორია მანჯურიაში. მარკიზ იტო მოჰკლეს. მინისტრი კოკოვცევი ხარბინში დარჩება და იტოს მოადგილეს დაუცდის.

ყველა დიდ-მნიშვნელობას აწერს კოკოვცევის შეხვედრას იაპონიის წარმომადგენელთან. ზოგიერთი რუსული გაზეთი კი ირწმუნებიან, იაპონიის მთავრობამ დაავალა იტოს, დაარწმუნოს კოკოვცევი, რომ იაპონიას ომი გულში არ უდევსო.

## რუსეთი

✦ **სპარსეთის შაჰად ნამყოფი.** „რუსკ. სლოვო“-ს ოდესიდან დეპეშით ატყობინებენ: სპარსეთის შაჰად ნამყოფი მაჰმედ-ალი მუყაითად შეუდგა რუსულ ენის სწავლებას. ნაშაჰარის მეუღლე სალოცველად მეკაში მიდის. ნადედოფლარი უბრალო მლოცველებს გაჰყვება თან. ნაშაჰარი ოდესაში რჩება.

✦ **ხატის გაცარცვა.** დეპეშებიდან უკვე ვიცით, რომ ჩენსტოხოვში, (ვარშ. გუბ.) იასნოგორსკის მონასტერში უცნობებმა გაცარცვეს ღვთის მშობლის ხატი. ჩენსტოხოვის ღვთისმშობლის ხატი მთელ პოლონეთში განთქმულია და მის თაყვანის საცემლად არა თუ პოლონეთიდან, საზღვარ-გარეთიდანაც კი აუარებელი ხალხი იკრიბება. ხატი სულ ძვირფასი ქვებით არის მორთული. ბოროტმოქმედ ზრახველებს 4 ფუთი ძვირფასი ქვა წაუღიათ. რა საკვირველია, რომ ღვთისმშობლის ხატის გაცარცვამ ააღელვა ხალხი. ვარშავის მ. ძებარ პოლიციის უფროსს უველა კუთხეებში, რუსეთსა და საზღვარგარედ, დეპეშები გაუგზავნია. ამან გარდა ქურდების პოვნა თავის ნებით ხუთ კაცს უკისრნია და კიდეც შესდგომიან საქმეს. გატაცებულ ძვირფას ნივთებს მილიონ მანეთზე მეტად აფასებენ რუსეთის სხვა და სხვა ადგილებში პოლიციამ გამოცდილი აგენტები დაგზავნა. იასნაგორსკის მონასტერს აუარებელი მლოცველი მიაწყდა, თხოულობენ ქურდების აღმოჩენას. ბერები ძალიან ნაწყენი დარჩენილან საზღვარ-გარეთის პოლიციის პასუხით, დეპეშა კი მივიღეთ, მაგრამ საჩუქარს რას მისცემთ ქურდების მპოვნელს, ამას კი არ იტყობინებითო.

✦ **გენერალი დუმბაძე და გენერალი ბეკმანი.** როგორც მკითხველს მოეხსენება გენერალმა დუმბაძემ ფინლიან. გენერალ-გუბერნატორს გენერალ ბეკმანს დეპეშა გაუგზავნა. დეპეშის შინაარსი არ მოეწონა გენერალ ბეკმანს და დეპეშა პრემიერ-მინისტრ სტოლიპინს გადასცა, შესაფერი ზომები მიიღეთო. ამ დღეებში სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებოდნენ, დუმბაძეს დაითხოვენო, მაგრამ ეს ხმა ტყუილი გამოდგა. „რუსკ. ვედ.“ კორესპონდენტს ამის შესახებ ულაპარაკნია მთავრობასთან დაახლოვებულ კაცთან. ამ კაცს უთქვამს: მართალია დუმბაძემ ბეკმანს შეურაცხყოფა მიაყენა და ბეკმანმა ძალიან იწყინა ეს, მაგრამ დუმბაძეს არაფერს უზამენ. დუმბაძეს ისე აფასებენ, რომ მას ამისთანა რამეებისთვის არ გააძევებენო.

✦ **ფინლიანდიის საქმეები.** პეტერბურგში ხმა გავრცელებულა, მთავრობამ გადასწყვიტა ფინლიანდიაში ჯარის ერთი კორპუსი გაგზავნოს. ამ კორპუსში არც პოლონელი და არც სხვა „არა რუსი“ არ შევა, კორპუსში საიმედო პირები უნდა იყვნენ და ისიც სულ რუსებიო.

სამხედრო მინისტრს ბრძანება გაუცია, ფინლიანდიის ნაპირებს სასტიკად ადევნეთ თვალ-ყური, რომ ფინლიანდიაში ზღვით იარაღი არ შეიტანონო.

„რუსკ. ვედ.“ სიტყვით ფინლიანდიის იმ საქონელს, რომელიც რუსეთში შემოაქვთ დიდ ბაჟ დაადებენ, რომ ფინლიანდიელებმა რუსების საქონელს კონკურენცია ვეღარ გაუწიონო.

სახელმწიფო სათათბიროს მემარჯვენეების ფრაქციას გადაუწყვეტია პრემიერ-მინისტრს მოხსენება წარუდგინოს ფინლიანდიის შესახებ. მემარჯვენეები სტოლიპინს სთხოვენ: გააუქმდეს ფინლიანდიის სეიმი, ფინლიანდიელებს უფლება მიეცეთ თავიანთი წარმომადგენლები იყოლიონ სახელმწიფო სათათბიროში იმ პირობით კი, რომ მათ წარმომადგენლებს მხოლოდ სათათბირო ხმა ექნებათ, ფინლიანდიაში გაუქმდეს ის კანონები, რომლებიც ბეჭდვითი სიტყვას თავისუფლებას აძლევენ და ფინლიანდიის საქმეთა მინისტრად უსათუოდ რუსი დაინიშნოსო.

„რეჩი“-ს სიტყვით იმ ჯგუფს, რომელიც სცდილობს ფინლიანდიას ვიბორგის გუბერნია გამოჰყოს განუზრახავს ფინანსთა მინისტრის კოკოვცევის მიმხრობა, მაგრამ ამაოდ. როგორც ვიცით ფინანსთა მინისტრის კოკოვცევის გარდა, ყველა მინისტრები თანახმანი არიან, რომ ფინლიანდიას ვიბორგის გუბერნია გამოეყოს. კოკოვცევის აზრით ხიზინას ფული არა აქვს, რომ ვიბორგის გუბერნია ფინლიანდიას გამოეყოს. ამას გარდა, უთქვამს კოკოვცევს, ფინლიანდიას ვალი აქვს და ეს ვალი კი ფინლიანდიამ ჩვენის თავდებობით აიღო, ეხლა, როდესაც ჩვენ ფინლიანდიას ერთ მერვედ ნაწილს ვართმევთ, მოვალეები შეგვაწუხებენ, ფული მოგვეცით, ფინლიანდიას აღარ ვენდობით, რადგან ფინლიანდიას დღეს თუ ვიბორგის გუბერნია ჩამოაშორეთ, ხვალ სხვა გუბერნიებსაც ჩამოაშორებთო.

### პასუხად „სიმართლისთვის ტანჯულს“ სტ. გიორგი ბელქანიას

(წერილი რედ. მიმართ)

როგორც „ივერიის“-ს მე-37 ნომერში მოთავსებულ წერილებიდან სჩანს, სტუდენტი გიორგი ბელქანია განაგრძობს ა. დგებუაძის ვექილობას. ეს წერილები ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქო ადგილობრივი ქართ. სტუდენტობა ა. დგებუაძის შესახებ არა პრინციპით და სამართლიანობით ხელმძღვანელობდა, არამედ სრულის უპრინციპობით, უსამართლობით და პირადის ინტერესებით. თუმცა სტუდენტ ა. დგებუაძის საქმე გამორკვეულად მეტად მიუდგომელ მკითხველ საზოგადოებისთვის, მაგრამ ვიმეორებ ბ-ნ ბელქანიას მიერ „ივერია“-ში მოთავსებული წერილები ისეთი კილოთია დაწერილი, რომ შეიძლება ვინმეს ეჭვი დაებადოს და შეცდომაში შევიდეს. ამიტომ იძულებული ვარ ერთხელ და უკანასკნელად პასუხი გავსცე ბ-ნ ბელქანიას. ვამბობ **ერთხელ** და **უკანასკნელად** იმიტომ, რომ ბ-ნი ბელქანია არსებითად ახალს არაფერს ამბობს და თუ ვინმე გამოჩნდება ისეთი, რომ საქმის არსებითად შესახებ რამეს იტყვის ახალს, პასუხს მიიღებს.

„ივერია“-ში ბ-ნმა ბელქანიამ მოათავსა ორი ვებერთელა წერილი. ერთი მე შემეხება. მე არავის ვექილობას არა ვკისრულობ, მე მხოლოდ, როგორც აღვნიშნე თავის დროზე „დროება“ ში, მაინტერესებს საქმის პრინციპიალური და ობიექტიური მხარე. ამისთვის კი საკმაოდ მიმაჩნია პატარა ანალიზი გავუკეთო ჩემს წინააღმდეგ მომართულ ბ-ნ ბელქანიას გარეგნულის შეხედულებით მართლა ვებერთელა წერილს, შინაარსით კი მეტად მცირეს. ეს ანალიზი დაანახვებს ყველას, ვინ სტყუის და ვინ ამახინჯებს ფაქტებს.

„დროების“ მე-147 და 148 ნომრებში მე აღვნიშნე საქმისთვის დიდმნიშვნელოვანი შემდეგი ორი ფაქტი, რომელიც პროფესორთა დისციპლინარულ სასამართლოში ნათლად გამოირკვა: ა) ა. დგებუაძის „ჭეშმარიტ რუსთა კავშირში“ ჩაწერა და ბ) იმისი (ა. დ.) არა სტუდენტობის გამორკვევა. აღვნიშნე აგრეთვე, რომ ბ-ნმა ბელქანიამ პირველი ფაქტი დაამახინჯა და მეორეს შესახებ სულ არაფერი არ უთქვამს. ეს დამახინჯება გამოიხატა შემდეგში: „დროების“ მე-40 ნომერში ბ-ნი ბელქანია სწერდა, რომ „ა. დგებუაძე 1909 წ. იანვარში **რაღაც შეცდომით** ჩაეწერა „ჭეშმარიტ რუსთა კავშირში“-ო. მე გაშაკვირვა ასეთმა კალენდარმა და ზემოდასახელებულ წერილებში მოვახსენე ბ-ნ ბელქანიას თვით ა. დგებუაძის მიერ ნათქვამი სასამართლოში. „მე—განაცხადა ა. დგებუაძემ—1908 წ. ჩავეწერე „ჭეშმარიტ რუსთა კავშირში“-ო. ა. დგებუაძეს არც თვე უხსენებია და არც **რაღაც შეცდომაზე** არაფერი არ უთქვამს. ბ-ნი ბელქანია თავის უკანასკნელ წერილში სდუმს ყველა ამის შესახებ. ნუ თუ ასეთი სიჩუმე იმის ნიშანი არ არის, რომ ბ-ნ ბელქანიას უცრუებია და ფაქტი დამახინჯებულად გადაუცია მკითხველებისთვის? თუ ასეა, ვინ სტყუის და ამახინჯებს ფაქტს, მე თუ ბ. ბელქანია?

მეორე ფაქტის ე. ი. ა. დ—ძის არა სტუდენტობის შესახებ, ბ-ნი ბელქანია **მხოლოდ** იმას მისაყვედურებს, რომ რად მოვანდომე მე ამას „მთელი 16 სტრიქონი“, როდესაც საქმის გარჩევის დროს ბევრი უფრო საინტერესო სხვა რამე ყოფილა. როგორც სჩანს, ფაქტი სისწორით გადმიცია მკითხველებისათვის, მაგრამ ბ-ნ ბელქანიას საყვედურს მაინც ვერ გადავურჩი. ერთი, რომ მე არ მიკისრია საქმის გარჩევის ანგარიშის დაწვრილებით აღწერა (ეს ჩემ წერილებამდის იყო სხვა გაზეთებში), და მეორეც ეს ფაქტი რომ არც ისე **ინტერესს მოკლებულია**, როგორც ბ-ნ ბელქანიას ჰგონია, შემდეგიდან სჩანს. სასამართლოში, სხვათა შორის, ისიც გამოირკვა, რომ ა. დგებუაძე ჯერ თავისუფალი მსმენელი ყოფილა და მერე რადაცა მანქანებით ნამდვილ სტუდენტად ჩარიცხულა. ბრალდებულებმა ეჭვი შეიტანეს ა. დ—ძის ნამდვილ სტუდენტობაზე და სწორედ ამას მოჰყვა ის, რომ მოსამართლეებმა მხოლოდ მესამე დღეს გამოაცხადეს, დ—ძე თავისუფალი მსმენელია და არა სტუდენტიო. იქნება ბ-ნ ბელქანიას ჰგონია, რომ იმასაც არა აქვს მნიშვნელობა, დ—ძე სტუდენტია თუ თავისუფალი მსმენელი? ესეც მართალი არ იქნება. თუ თავისუფალი მსმენელიდან სტუდენტად გადარიცხვას და „ჭ. რ. კავშირში“ ჩარიცხვას ერთ-ერთმანეთს დაუპირდაპირებთ, შორს-მჭვრეტელ მკითხველისთვის ბევრი გაუგებარი ამ საქმისა გასაგები შეიქმნება. და თუ ამ ფაქტის აღნიშვნას მე **„მთელი 16 სტრიქონი“** მოვანდომე, ვფიქრობ დიდ ცოდვად არ უნდა ჩამეთვალოს.

შემდეგ ბ-ნი ბელქანია ლაპარაკობს ფაქტების უქონლობაზე და ამბობს: „გამოსულ ფურცლებში, „ზემლიაჩ.“, გარდა შავ-რაზმელობისა, ბ-ნ დგებუაძეს აბრალებდა ჯაშუშობას, გამცემლობას და კავშირის სასარგებლოდ აგიტაციის გაწევას. **ამ უკანასკნელ მუხლების შესახებ** მე და სტ. ბ. კ—ძეს 25 მარტს ვთხოვეთ სტ. დიტო ჩიკვაიძის საშუალებით ქართველ „ზემლიაჩესტვო“-ს გამგეობის წევრებს, გადმოეცათ ჩვენთვის მათ მიერ შეკრებილი „უტყუარი ფაქტები“. პასუხი როგორც იყო 5 აპრილს მივიღეთ. ამავე ბ. დ. ჩიკვაიძემ გადმოგვცა ჩვენ შემდეგი: „ჩვენ (გამგეობის წევრებს), არ შეგვიძლიან დაგისახელოთ ის პირები, რომლებმაც ჩვენ გადმოგვცეს ეს ფაქტებიო; გარდა ამისა ჩვენ (გამგეობას) არ გვითქვამს, რომ დგებუაძე ნამდვილი ჯაშუშიაო“... და რიხიანად გაიძახის ბ-ნი ბელქანია: „აი, ბ-ნო გაბუნია, თქვენი „უტყუარი ფაქტებიო“. აქ ამოწერილი ციტატა ბევრნაირად არის საინტერესო. როგორც თვითონ ბ-ნი ბელქანია გვაუწყებს, ბ-ნ დ. ჩიკვაიძისათვის მიუმართავს ფურცლების გამოსვლის შემდეგ და პასუხი მიუღია 5 აპრილს; ამ დროს კი (5 აპრილს) საქმე უკვე გადაცემული ჰქონდა პროფ. დისციპლ. სასამართლოს (საქმის გარჩევა დაიწყო 17 აპრილს). მაგრამ ერთი ვკითხოთ ბ-ნ ბელქანიას: რით ხელმძღვანელობდა ბელქანია, როდესაც ბ. დ. ჩიკვაიძის საშუალებით **უკანასკნელ მუხლების შესახებ** თხოულობდა „უტყუარ ფაქტებს“ და **პირველის შესახებ უბრალო ფაქტსაც კი არა? საიდან იშოვნა პირველ მუხლის** შესახებ თუ „უტყუარი“ არა **უბრალო ფაქტი** მაინც? ნუ თუ აშკარა არ არის, რომ ბ-ნ ბელქანიას ბოიკოტის გამოცხადებამდის სცოდნია ეს საქმე? თუ იცოდა, როგორ უყურებდა ამ ამხანაგის ასეთ საქციელს? რისთვის არ ამხელდა? ეს აშკარად ბ-ნ ბელქანიას საიდუმლოებას შეადგენს!.. როგორც ნათქვამი მქონდა ჩემს პირველ წერილებში დ. დგებუაძის ბოიკოტის შემდეგ, ბ-ნ ბელქანიას ადგილობრივი ქართველი სტუდენტები უყურებდნენ როგორც მოწინააღმდეგეს. ბ-ნი ბელქანია კი იმ დროს თხოულობს ფაქტებს, როდესაც საქმე სასამართლოშია გადაცემული. გულ-უბრყვილობაც ასეთი უნდა! არ ვიცი რომელი მეომარი დასთანხმდება, რომ თავისი იარაღი მოწინააღმდეგეს გადასცეს და თვითონ კი ცარიელი ხელებით იომოს.

ვ. გაბუნია.

(დასასრული იქნება)

### წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ მოათავსოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში შემდეგი საპასუხო წერილი. „დროების“ მე-222 ნომერში, ქრონიკაში, სხვათა შორის, მოხსენებული იყო, რომ ვითომ მე და ჩემს ძმას გიგო ადამის ძე და ბიძაჩემს ერითავოზ ყარანგოზიშვილებს ჩვენის გამგეების მეცადინეობით მიგვეყიდნოს ჩვენი მამული რუს და არა ქართველ გლეხებისთვის. მართალია ჩვენ რუსებს მივყიდეთ ჩვენი მამული, მაგრამ რაც შემეხება პირადად მე, ეს ზემოხსენებული მამული შევისყიდე ამ თხუთმეტის წლის წინად დავით კეზელისაგან, რომელიც, როგორც გლეხებმა გარდმომცეს, ძლიერ ავიწროებდა გლეხებს, მე შევისყიდე ეს მამული გადავეცი მცირე ღალის გადახდით სოფელ ჩრდილელიაანთ და გრიგოლაანთ გლეხებს; მათ ისარგებლეს აგრარულ მოძრაობით და მე სრულებით აღარ ეფერიმომცეს, პირიქით გამინადგურეს მშვენიერი 15 დღის შენახული და მოვლილი ტყე და 11 დღის შემოღობილი სავენახე. რითაც დიდი ზარალი მომაყენეს, მაგრამ მე ჩემის მხრით არაფერ სასტიკ ზომებისთვის არას დროს არ მიმიმართავს, სამაგიეროდ მე და ჩემა ძმამ გიგო და ბიძაჩემმა ერთავოზმა ყარანგოზიშვილებმა შევთავაზეთ ჩვენი მამული შემდეგ სინდისიან გლეხების პირით, ესენი არიან: ვანო ქურცაკაძე, ვანო უნდილაშვილი, ზაქარა ნატრაძესა და აზნაურ ლადო ჩრდილელისპირით და მომრიგებელ შუამავლის თავ. აფხაზის და მის ახლანდელ მოადგილის თავ. ციციშვილის პირით. აგრეთვე მე ჩემის მხრივ დავპირდი საგლეხო ბანკთან შუამდგომელობას ფულის სასესხებლად, მაგრამ გაიარა ხანმა და მყიდველი არავინ გამოჩნდა, პირიქით, მათ შემომითვალეს, რომ მამულის ყიდვა არა გვსურს, რადგან ისედაც უფასოდ უნდა გადმოვიდეს ჩვენზედაო. გლეხთა შორის ამნაირ აზრის გამავრცელებელნი არიან, რომ გლეხებს აყენებენ ცუდ გზაზე და შეიძლება ცუდი შედეგიც გამოიწვიონ, ისე რომ თუ ასეთი გულ-შემატკივარნი გამოუჩნდნენ ჩვენს ისეთაც დავრდომილს გლეხებს, ეჭვს გარეშეა, რომ გლეხები წინ წაიწევენ და მეშვიდე ცაზე აფრინდებიან.

ქალ. დუშეთის მამასახლისი **ვლადიმერ ადამისძე ყარანგოზიშვილი.**


კიევლი კერძო სამკურნალო

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1/2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მუღნინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბეგთაბეგიანცი:** 11—12 ს. განისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. ბუგიშვილი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—$1^{1/2}$ ს. შინაგან და საბავშვო.

**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—$1^{1/4}$ ს. შინ. და ბავშვ.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6^{1/2}$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

**ახლად გახსნილ** ლორის-მელიქოვ. ქ. № 6, ფოსტის მახლობლად ხრომოლიტოგრაფიაში

**„ამხ.-ბა ლევიტ და მესნიკ“**

შეიძლება შეკვეთა ყოველგვარ სალიტოგრაფო საქმისა. ფასები ზომიერია. ყველაფერი კოხტად და კარგად კეთდება. სპეციალურად სადარბაზო ბარათები, ბლანკები, ანგარიშები. (12—გაგ.—4)




**ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის მაღაზია ქ. ქუთაისში.**

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ“-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბ-ს გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერმოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ა დ რ ე ს ი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—б.—8)

**I მანეთიდან** ფულის გადახდა ნაწილ ნაწილად **I მანეთიდან**

**ხელის მაშინები 25 მანეთიდან**

იყიდება იმპერ-ის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში. ტფილისში სამი განყოფილებაა: 1. გოლოვინის პროსპექტზე სასახლის პირდაპირ; 2 ვოგზლის ქუჩაზე, სახლი ენფიაჯიანცისა; 3. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა. (20—გაგ.—5)

**პროვოდნიკის**

1897 წ. 1908 წ. 1888

**ამხანაგობა**

**რ ი გ ა შ ი**

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

**იყიდება ნაღდად და ცალობით:**

**რეზინის საკიპაჟო შინები,**

**პნევმატიური ავტომობილის შინები „ალმაზი“ (წითელი),**

**პნევმატიური შინები ველოსიპედებისთვის,**

**მკვიდრ-რეზინის შინები ავტომობილებისა—ომნიბუსისთვის.**

„პროვოდნიკი“-ს ამხანაგობის შინები მრავალი წლის გამოცდილებით საუკეთესო შინებად არის მიჩნეული და ღირსებით აღემატება საზღვარ-გარეთის საუკეთესო ფაბრიკატებს, რასაც მოწმობს არა მარტო ის, რომ რუსეთის სახელმწიფოში ამ შინებზე დიდი მოთხოვნილებაა, არამედ ის, რომ აუარებელი და უმთავრესად საზღვარ-გარედ გადის.


სტამბა, „ხივთინი“—რუსის ქუჩა № 3. რედაქტორ-გამომცემელი ს. ხ. ადამაძე.